

"დინამო" - ისევ "საცდელი კურდღლის" რანგში

A6



პაულო კოელიოს სვეტი

A7



"გულახდილად"

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 21 იანვარი, 2006 წელი. №12 (1164)

ფასი 50 თეთრი

## სამართალი

### ახალი პასპორტის პრეზენტაცია

იუსტიციის სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს ახალ პასპორტს სთავაზობს. 23 იანვარს იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე საქართველოს ერთ-ერთ მოქალაქეს, მას ვისაც რიგის მიხედვით ეკუთვნის პასპორტის აღება, პირველ ახალ პასპორტს პირადად გასცემს.

A4

## სამართალი

### ევროპის საბჭო საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობას განიხილავს

დადგენილების პროექტი 2005 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა და იგი ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებმა - მათიას იორშმა და ევგენი კირილოვმა მოამზადეს. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, დადგენილების პროექტში შეფასებულია საქართველოს სახალხო დამცველის მუშაობაც.

A4

## სამართალი

### "მეამბოხე მოსამართლეები" იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევენ

ყოფილი მოსამართლეები - მერაბ ტურავა და ნინო გვენეტაძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის წევრად პარლამენტარ ნინო კალანდაძის ყოფნას კანონდარღვევად მიიჩნევენ.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 21/01 | 22 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 1 | 1 |
| ტყიბული | 0 | 6 |
| სოხუმი | -2 | 5 |
| დმანისი | -9 | -3 |
| გორი | -3 | 2 |
| ონი | -5 | 0 |
| ზუგდიდი | 1 | 7 |
| ახმეტა | 2 | 1 |
| გაგრა | -4 | 5 |
| სამტრედია | 2 | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8075 |
| ევრო | 2.1802 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1716 |
| რუბლი | 0.0639 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| კვირა | A 8 |


# რუსი სამშვიდობოები უნდა წავიდნენ!

გიორგი ასანიშვილი

*უკვე ცხადია, რომ უახლოეს ხანში საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში განთავსებული რუსი სამშვიდობოების გაყვანის პროცედურის დაწყებას ოფიციალურად მოითხოვს. ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს გუშინ გამართულ ბრიფინგზე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განცხადებები იძლევა. გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, კოტე გაბაშვილი და ნიკა რურუა ერთხმად აღნიშნავენ, რომ კონფლიქტის ზონაში რუსი "ცისფერჩაფხუტიანების" ყოფნა სამშვიდობო გეგმის რეალიზების ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება.*

გაგრძელება A3 გვერდზე



უახლოეს ხანში საქართველოს ხელისუფლება ასეთი პოსტების გაუქმებას მოითხოვს.

# საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლა შემცირდა

თინა შავაძე

საქართველოში განსაკუთრებით შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა. ქართველ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უცხოელი ინვესტორების მიმართ გრძელვადიანი საგადასახადო შეღავათები თუ არ დაწესდება, უახლოეს პერიოდში ეროვნულ მეურნეობაში მსხვილი საინვესტიციო პროექტი არ განხორციელდება.

სტატისტიკის დეპარტამენტში განმარტავენ, რომ პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2004 წელს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰდენიზის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა და თითქმის 500 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. 2005 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დასრულდა ნავთობსადენის მშენებლობა, ამან ნაწილობრივ გამოიწვია პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის შემცირება და 2005 წლის პირველ სამ კვარტალში მისმა წმინდა მოცულობამ 270.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 102.6 მლნ. აშშ დოლარით (ანუ 28 პროცენტით) ნაკლებია 2004 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. დეპარტამენტის ინფორმაციით, გასული წლის შედეგების სტატისტიკური მონაცემები მიმდინარე წლის აპრილამდე არ იქნება, თუმცა ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციების შემცირების ტენდენცია აშკარად შეიმჩნევა.

**ინვესტირება არის იმ კაპიტალური რესურსების შეძენა, რომელიც საჭიროა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად. იგი შეიძლება გამოიხატებოდეს კორპორაციის აქციების ფლობაში, უძრავ ქონებაში ან ნაგებობებსა და მოწყობილობაში. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ინვესტირებული კაპიტალი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ხელშეუხებელი და დაცულია.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ოლეგ კისელიოვი: საქართველოს წარმატება ჩვენი უსაფრთხოებაც არის

მაია ჭალაგანიძე

*ამ დღეებში პეკინში მიმდინარე გაერო-ს კონფერენციაზე ქათმის გრიპის წინააღმდეგ დაფინანსების სისტემების შექმნაზე მსჯელობდნენ. პანდემია მხოლოდ ექიმების საზრუნავი არ არის და გაერო-ს დონორი ქვეყნები იმაზე მსჯელობენ, თუ რა თანხა დაუჯდება მსოფლიოს მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა. და კიდევ იმაზეც საუბრობენ, თუ ყველაზე მეტად რომელი სახელმწიფოები საჭიროებენ მატერიალურ დახმარებას. ეს რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს, მაგრამ არსებობს იმის შანსი, რომ ეს პატარა და დახმარებას მოწყურებული ქვეყნები დიდი ბიზნესებისა და ფულის შეჯახების ტერიტორიებად იქცნენ. რადგანაც დიდი ქვეყნის მეზობლად მყოფი პატარა ქვეყანა ვართ, ეს საფრთხე აქაც არსებობს. მაგრამ ვირუსი ვირუსია და მისი მდიდარ ქვეყანასაც ეშინია და ღარიბსაც. ასე შეეშინდა ერთ რუს ვეტერინარსაც და საქართველო ლამის H1N5-ის ყველაზე საშიშ კერად დაასახელა, რის გამოც თბილისში ჩამოსულ გრიპის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ოლეგ კისელიოვს ბოდიშის მოხდა მოუწია. დღეს ის ჩვენი სტუმარია და ეპიდემიის საშიშროებაზე, ეკონომიკურ, კომერციულ და პოლიტიკურ ასპექტებზეც საუბრობს.*



ოლეგ კისელიოვი

გაგრძელება B1 გვერდზე

# კობა ბექაურის საწინააღმდეგო დოკუმენტური სამხილი, ჯერჯერობით, ნაპოვნი არ არის

*სამ თვეზე მეტია, რაც საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატების ბიზნეს-ინტერესების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია კობა ბექაურის გარშემო "ტრიალებს", მაგრამ არსებითი და ხელშესახები, ჯერჯერობით, ვერაფერი იპოვა. უნაყოფო გამოდგა კომისიის გუშინდელი სხდომაც, რომელზეც "ოპიზას" მეწილეებისა და პარტნიორების დაკითხვის პროცესი გაგრძელდა.*

გიორგი ასანიშვილი

საბაჟო ტერმინალის თითქმის ყველა თანამშრომელი ერთხმად აცხადებდა, რომ კობა ბექაურს კარგად იცნობს, მაგრამ მისი მხრიდან ზეწოლას ან რაიმეს თხოვნას ადგილი არასოდეს ჰქონია.

**"ბექაური ჩემი ბავშვობის მეგობარია, მაგრამ არც მასთან და არც სხვა პარლამენტარებთან სამსახურებრივი ურთიერთობა არ მაკავშირებს,"** - ირწმუნება "ოპიზას" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ზურაბ ბაღდოშვილი, რომელიც იქვე იმასაც დასძენს, რომ ტერმინალში თავისი წილი ბექაურის მეუღლეს ზუსტად იმ ფასად მიჰყიდა, რა ფასადაც, თავის დროზე, თავად შეიძინა.

**"ტერმინალში პურსა ვჭამდით, ბექაური დავინახეთ, დავუძახეთ და დავპატიჟეთ, მაგრამ არ მოვიდა,"** - "ექვმიტანილი" დეპუტატის ქედმაღლობა გულში ხინჯად ჩარჩენია ბექაურის მეუღლის თანაკლასელს გელა გულადაშვილს, რომელიც თავადაც "ოპიზაში" საქმიანობს.

საბაჟო ტერმინალის ბუღალტერი ნანული ჯავახიძე ერთადერთია, ვინც ბექაურთან საქმიან კონტაქტს არ უარყოფს.

**"კობამ დამირეკა და ბანკის კრედიტის ხელშეკრულება მთხოვა, რომელიც ტერმინალის უფროსს სერგო ჯავახიძეს გადავეცი და პარლამენტში მან წაიღო,"** - აცხადებს "ოპიზას" ბუღალტერი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჯიბგარმენი

კომიქსი

B4



# ზურაბ წერეთელი სკანდალში გაეხვა

*გუშინ დილით, გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდას" მიერ გავრცელებული ინფორმაცია ცნობილი ქართველი მოქანდაკის, ზურაბ წერეთლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, გუშინვე ნაწილობრივ უარყო მოსკოვის ბუნების დაცვის პროკურორმა.*

რუსულ გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდაში" გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, მოსკოვის ბუნების დაცვის პროკურატურამ გადაწყვიტა, სისხლის სამართლის 262 მუხლით საქმე აღეძრა საბავშვო "საოცრებათა პარკის" ირგვლივ წარმოებული მაქინაციების გამო. რაც შეეხება ზურაბ წერეთელს, გაზეთის ცნობით, მის წინააღმდეგ საქმე შეიძლება უკანონო მეწარმეობისთვის აღიძრას. ამ დანაშაულის შესაბამისი მუხლი ორი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმე ის გახლავთ, რომ 1994 წელს ზურაბ წერეთელი სათავეში ჩაუდგა არაკომერციულ ორგანიზაციას - "საოცრებათა პარკის საბავშვო ფონდი". ფონდს მოსკოვის მთავრობამ უვადო სარგებლობაში გადასცა უზარმაზარი მიწის ფართობი დედაქალაქის ელიტურ რაიონში - "მოსკვორეცკის" პარკში. ფონდის ხელმძღვანელობას იქ "რუსული დისნეილენდი" უნდა აეშენებინა, უზარმაზარი ეშმაკის ბორბალითა და უთვალავი ატრაქციონებით.

გაგრძელება A4 გვერდზე

# საგარეო უწყება აფხაზური მილიციის წინააღმდეგ

*გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში, რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელშეწყობით და მათივე მძიმე ტექნიკის გამოყენებით, აფხაზური მილიციის 25-30-კაციანი ჯგუფი შეიჭრა. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ საპროტესტო განცხადებას ავრცელებს.*

ნათია მსხილაძე

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ოტობაიაში, გაგიდაში, ფიჩორში, ნაბაკევში, თაგილონსა და ჭუბურხინჯში, კრიმინოგენული ვითარების გამოსწორების საბაბით შეყვანილი დაჯგუფება მთელი ღამის განმავლობაში ახორციელებდა ადგილობრივი მოსახლეობის საპასპორტო შემოწმებას და მათი კუთვნილი სახლების უკანონო ჩხრეკას. **"აფხაზური ე.წ. მილიციის აღნიშნული მოქმედებები, ჩვენი აზრით, შემთხვევით ხასიათს არ ატარებს და გალის რაიონში მძიმე კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესებისკენ მიმართული არ არის. მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი მოქმედებების ძირითადი მიზანია ადგილობრივი ქართული მოსახლეობის დაშინება და მათგან ფულის გამოძალვა, რაც, როგორც წესი, ყოველწლიურად მოსავლის აღების პერიოდში ხორციელდება,"** - ნათქვამია განცხადებაში.

როგორც საგარეო უწყებაში აცხადებენ, ყველა ასეთი ღონისძიება წინასწარ არის დაგეგმილი დე ფაქტო მთავრობის მიერ და შეთანხმებულია სამშვიდობო კონტინგენტის ხელმძღვანელობასთან. ამაზე მიუთითებს აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ბოლო დღეებში გაკეთებული განცხადებებიც, რომლებიც არსებითად მიმართულია გალის რაიონში შექმნილი რთული კრიმინოგენული ვითარების გამომწვევი რეალური მიზეზების მიჩქმალვის, საკუთარი თავიდან პასუხისმგებლობის მოხსნის, ქართული მხარის უსაფუძვლო დადანაშაულებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანისკენ. **"ასეთი განცხადებების საშუალებით, აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლება ცდილობს, ერთი მხრივ, გაამართლოს ამ რაიონში თავისი უკანონო მოქმედებები, რომლებიც ადამიანის უფლებების უხეში დარღვევებით და ეთნიკური წმენდის პოლიტიკის შესაბამისად ხორციელდება, ხოლო მეორე მხრივ, წარმოაჩინოს რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი, როგორც უალტერნატივო ძალა კონფლიქტის ზონაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად,"** - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლა შემცირდა

პირველი გვერდიდან

უცხოური ინვესტიციის მაჩვენებელმა თავის პიკს 1998 წელს მიაღწია, როდესაც ქვეყანაში 288 მლნ აშშ დოლარის მოცულობის კაპიტალდაბანდება შემოვიდა. გასული ორი წლის განმავლობაში საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი გახდა. ექსპერტთა ერთი ნაწილი ამ მოვლენას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არ განხორციელებულა არც ერთი ისეთი მსხვილი საინვესტიციო პროექტი, რომელიც ეროვნული მეურნეობის განვითარებას ბიძგს მისცემდა.

თუ რატომ არ არის მიმზიდველი საქართველო უცხოელი ინვესტორებისთვის, რამდენიმე მიზეზი არსებობს. მთავარი, რომლის გამოც უცხოელი ქვეყანაში კაპიტალდაბანდებას ერიდება, კონფლიქტური ზონებია. არსებობს სხვა ბარიერებიც, მათ შორის, რთული საგადასახადო კოდექსი, სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვების მიღების სირთულეები, მაღალი პროცენტი კრედიტზე. როდესაც საქართველოში სესხის აღება წლიური 18-20 პროცენტი ღირს, ხოლო ჩეხეთში - 7 პროცენტი, რა თქმა უნდა, ინვესტორი არჩევანს ამ ქვეყანაზე გააკეთებს და არა საქართველოზე. ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა ის არის, რომ საქართველო ნაკლებ რეკლამას უწევს საკუთარ თავს, ყოველივე იმას, რასაც ინვესტორები შეიძლებოდა მოეზიდა.

ამ ეტაპზე ექსპერტები არსებული მდგომარეობიდან სხვადასხვა გამოსავალს ხედავენ. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობაში უცხოელი ინვესტორებისთვის შესაბამისი სერიოზული საგადასახადო შეღავათები უნდა დაწესდეს. ამ შეღავათებს მიეკუთვნება ე.წ. საგადასახადო არდადეგები. ამ რეჟიმის დროს უცხოელი ბიზნესმენი გარკვეული პერიოდით, 5-10 წლით, თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. ამგვარი რეჟიმის გატარების კლასიკურ ქვეყანას უნგრეთი წარმოადგენს. იგი 1989 წლიდან წარმატებით ახორციელებს ეროვნულ მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკას. უკვე განხორციელებულია 22,9 მლრდ (2004 წლის მაჩვენებელია) აშშ დოლარის ინვესტიციები, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 43 პროცენტს აღემატება და, როგორც უცხოელი ექსპერტები მიიჩნევენ, ასეთი პატარა ქვეყნისთვის შთამბეჭდავი მაჩვენებელია.

## მოკლედ

### გოგა ხაინდრავა და სერგეი შამბა გალში შეხვდებიან

ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა, რომელიც გუშინ იყო დანიშნული, კვლავ გადაიდო. გადადების მიზეზია 21 იანვარს გალში გაერო-ს ეგიდით დანიშნული, ორმხრივი მაღალი დონის შეხვედრა. იგი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებასა და უსაფრთხოების საკითხებს შეეხება. როგორც კონფლიქტების საკითხებზე მომუშავე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში განაცხადეს, ქართულ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა, ხოლო აფხაზეთიდან, სავარაუდოდ, მონაწილეობას მიიღებს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. წინასწარი ინფორმაციით, განიხილება საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩასწორებული, უსაფრთხოების გარანტიების პროექტი და კონფლიქტის ზონაში უკანასკნელ პერიოდში დაძაბული კრიმინოგენული ვითარება. ქართული მხარე ყურადღებას გაამახვილებს რუსი სამშვიდობოების ქმედებებზე, უკანონო იარაღის შესაძლო არსებობასა და დევნილების დაბრუნებაზე.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ეუთო-ში აშშ-ს ელჩი საქართველოს ხელისუფლებას ხვდება

აშშ-ს ელჩი ეუთო-ში ჯული ფინლი, მეორე დღეა, თბილისში იმყოფება. იგი 23 იანვრამდე საქართველოს მთავრობასთან შეხვედრებს გამართავს. 20-23 იანვარს ჯული ფინლი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან, საგარეო საქმეთა მინისტრ გელა ბეჟუაშვილთან, სახელმწიფო მინისტრთან კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავასთან და პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელთან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ირაკლი ალასანიასთან ოფიციალურ შეხვედრებს გამართავს. შეხვედრაზე კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას, მათ შორის, ქართულ-ოსური კონფლიქტის ფართომასშტაბიანი დარეგულირების გეგმის რეალიზაციას განიხილავენ. ქართული მხარე აპირებს, ამერიკელ პარტნიორებს საქართველოს ახალი ინიციატივები გააცნოს აფხაზეთში კონფლიქტების დარეგულირებაში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# საქართველოში დემოკრატიის განვითარება - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრიორიტეტი

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა უწყების 2006 წლის მიზნებს შორის საქართველოში დემოკრატიის ხელშეწყობაც დაასახელა. დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საქმეთა მდივნის თანაშემწის, დენიელ ფრაიდის განცხადებით, "თავისუფლების ხელშეწყობა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მხოლოდ ტაქტიკა და ხერხი კი არ არის, არამედ მთავარი კონცეფცია". როგორც ფრაიდმა განაცხადა, აშშ და ევროპა მსოფლიოში თავისუფლების განსამტკიცებლად ერთობლივად მოქმედებენ.

დეპარტამენტის მიერ 2006 წლის დასახულ გეგმებს შორის მდივნის თანაშემწემ საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში დემოკრატიების მხარდაჭერა დაასახელა.

"ბელორუს ხალხს დემოკრატიის დამკვიდრებაში დავეხმარებით, ხოლო აზერბაიჯანსა და ყაზახეთს კი ხელს შევუწყობთ, დემოკრატიის მიმართულებით უფრო მყარად და მიზანმიმართულად იმოძრაოს," - დასძინა ფრაიდმა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# კობა ბექაურის საწინააღმდეგო დოკუმენტური სამხილი ჭერჭერობით ნაპოვნი არ არის

პირველი გვერდიდან

მისი ასეთი "გულახდილობა" შესაძლოა, ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ სტუდია "რეპორტიორის" მიერ გადაღებულ ფილმში ეს ფაქტი დაფიქსირებულია (კობა ბექაური რეკავს "ოპიზაში", ესაუბრება ვინმე ნანულის და მისგან ხელშეკრულებას ითხოვს), მის უარყოფას, უბრალოდ, აზრი არა აქვს.

"ოპიზას" მეწილეებისა და პარტნიორებისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევაში რეზონს ვერ ხედავს დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი, "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე: **"რაღაც პროცედურას ვასრულებთ, მაგრამ ვერანაირ მნიშვნელოვან ინფორმაციას ვერ ვიღებთ."**

მაინცადამაინც დიდი ოპტიმიზმით არც მისი თანაფრაქციელი, დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილი არის განმსჭვალული.

**"პირადად ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ კობა ბექაურს "ოპიზაში" ნამდვილად აქვს ბიზნესინტერესები, მაგრამ დოკუმენტურად ამის დასაბუთება ძალიან ძნელი იქნება. "ოპიზას" თანამშრომლები, ჩემთან პირად საუბარში, ბექაურის მიერ კანონის დარღვევას ადასტურებენ, მაგრამ როდესაც დოკუმენტურ დადასტურებაზე მიდგება საქმე, ამაზე უარს ამბობენ,"** - დროებითი კომისიის ჩიხურ მდგომარეობაზე საუბრობს ცაგარეიშვილი.



უნაყოფო გამოდგა კომისიის გუშინდელი სხდომაც.

მისივე განცხადებით, დაკითხულთა ახსნა-განმარტებაში გარკვეული შეუსაბამობებია და ამიტომ, ზოგიერთი მათგანის ხელახალი დაკითხვა გახდება საჭირო. გამორიცხული არ არის, რომ მომავალ კვირაში დროებითი საგამოძიებო კომისიის წინაშე პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც წარდგეს, ვინაიდან, გიორგი ცაგარეიშვილის განმარტებით, **"ლილო-1"-დან "ოპიზაში" ტერმინალის გადატანა მთავრობის ხელმძღვანელის უშუალო დავალებით მოხდა."**

# ფოთელ მოროზოვს "ფრინველის გრიპი" არ აღმოაჩნდა

"ფრინველის გრიპის" წინააღმდეგ მებრძოლ ფოთის საკოორდინაციო შტაბში დღეს, გამთენიისას შეტყობინება შევიდა, რომლის თანახმადაც, პალიასტომის ტბის პირას, ერთ-ერთ კორპუსში მცხოვრებ 25 წლის ანდრია მოროზოვს სახლში ნანადირევი გარეული ბატები და იხვები შეჰქონდა. ნანადირევის ამოსაღებად მისულ ვეტერინარული ინსპექციისა და პოლიციის თანამშრომლებს შემთხვევის ადგილზე ნანადირევი არ დახვდათ, თუმცა ვეტერინარებმა 25 წლის ანდრია მოროზოვის ჯანმთელობის მდგომარეობა საეჭვოდ მიიჩნიეს და იგი ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმებმა მას ჩირქოვანი ანგინის დიაგნოზი დაუსვეს. ანდრია მოროზოვს მაღალი ტემპერატურა აღენიშნებოდა. ამ დროისთვის მისმა ტემპერატურამ დაიკლო და, როგორც ცენტრალური კლინიკის მედპერსონალი აცხადებს, მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

პალიასტომის ტბაზე თურქეთიდან შემოსული გარეული ფრინველების თავმოყრის გამო, უკვე ერთი თვეა ნადირობა მკაცრად აკრძალულია. თუმცა როგორც მოროზოვი თავად აცხადებს, მას აგვისტოდან არ უნადირია და არც პალიასტომის ტბაზე ყოფილა გასული აგვისტოს შემდეგ.

*ინტერპრესნიუსი*

# "ტავ ურბან ჯორჯიას" ქვეკონტრაქტორთან უთანხმოება აქვს

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მმართველ კომპანია "ტავ ურბან ჯორჯიასა" და მის ქვეკონტრაქტორ სამშენებლო ფირმა GMC-ს შორის არსებული დავა, შესაძლოა, საქალაქო სასამართლოში გაგრძელდეს. მხარეები ერთმანეთს "ტავ ურბან ჯორჯია"-სთვის საოფისე ფართის რემონტთან დაკავშირებით ედავებიან. დამკვეთი კომპანია ქვეკონტრაქტორს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, ხოლო ეს უკანასკნელი დამკვეთს შესრულებული სამუშაოების ფულად ანაზღაურებას ედავება.

როგორც პრაიმ-ნიუსს GMC-ის თანამფლობელმა მარინა თათრიშვილმა აცნობა, "ტავ ურბან ჯორჯია"-მ სამშენებლო კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოებისთვის თანხა არ გადაიხადა. მარინა თათრიშვილის ინფორმაციით, სამშენებლო კომპანიამ "ტავ ურბან ჯორჯია"-ს ოფისის შეკეთება თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე 2005 წლის 16 დეკემბერს დაასრულა, თუმცა გაწეული სამუშაოსთვის დაპირებული 40 000 ლარიდან ჯერ არც ერთი თეთრი არ მიუღია.

თათრიშვილი აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის შეთანხმების თანახმად, 1 ნოემბერს დაწყებული მშენებლობა 1 დეკემბრისთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა ეს პროცესი გაჭიანურდა, რადგან, მისი თქმით, "ტავ ურბან ჯორჯიამ" სამშენებლო მასალის მიწოდება დააგვიანა.

როგორც პრაიმ-ნიუსს "ტავ ურბან ჯორჯიას" თბილისის აეროპორტის პროექტის მენეჯერმა თეომან ჩობანოღლუმ აცნობა, GMC-მ კონტრაქტის პირობები დაარღვია, სამუშაოები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში - ერთ თვეში ვერ დაასრულა და, ასევე, მშენებლობა სრულყოფილად ვერ შეასრულა, რის გამოც ოფისში გარკვეული სამუშაოების წარმოება თავად დამკვეთ ორგანიზაციას უხდება. ჩობანოღლუს განცხადებით, ქვეკონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა აეროპორტის ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესს არ აფერხებს. მისი ინფორმაციით, 24 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე, სადაც ტერმინალი უნდა აშენდეს, საექსკავაციო სამუშაოები მომავალ კვირას დასრულდება. ამ ტერიტორიაზე უკვე განთავსდა კემპინგები, რომლებიც 300 მუშა-მოსამსახურეს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფს. მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკა რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ჩამომსხმელი საწარმო და სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები უკვე მობილიზებულია.

ჩობანოღლუს ინფორმაციით, ამ დროისათვის გაწეული სამუშაოებისთვის გახარჯულია დაახლოებით 2 მილიონი აშშ დოლარი. მისი ინფორმაციით, პარალელურად აეროპორტის მმართველი კომპანია თანხების მოსაძიებლად მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კომპანიას საკუთარი თანხები არ გააჩნია. მისი ინფორმაციით, "ტავი ურბანი" რამდენიმე პროექტზე ერთდროულად მუშაობს - სტამბულის აეროპორტში აშენებს ახალ ტერმინალს, რაც 25 მილიონი აშშ დოლარი ჯდება, ამასთანავე, ანკარაში და იზმირში 17 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტებს ახორციელებს. ჩობანოღლუმ აღნიშნა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობას თურქული კომპანია მხოლოდ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს.

როგორც პრაიმ-ნიუსს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მუდმივმა წარმომადგენელმა, ნიკოლაი ჰაჯისკიმ აცნობა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობისთვის საჭირო 62 მილიონი აშშ დოლარიდან 20-მილიონიან სესხს ევროპის რეკონსტრუქციის ბანკი გაიღებს. ჩობანოღლუ აღნიშნავს, რომ თბილისის აეროპორტი ექსპლუატაციაში 2006 წლის 23 ნოემბერს უნდა შევიდეს.

*პრაიმ-ნიუსი*

# საქართველო მზად არის, კომპრომისის გზით წავიდეს

თბილისი მზადაა, გაითვალისწინოს სოხუმის წინადადებები მხარეთა შორის ერთობლივად შესამუშავებელ დოკუმენტში "საომარი მოქმედებების განუახლებლობისა" და "დევნილთა დაბრუნების" შესახებ.

"დარწმუნებული ვარ, რომ წინააღმდეგობები დაძლევადია," - განაცხადა გუშინ აფხაზეთის საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ "საომარი მოქმედებების განუახლებლობისა" და "დევნილთა დაბრუნების შესახებ" დოკუმენტებზე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშის განცხადების კომენტირებისას, რომლის თანახმადაც, "შეთანხმებულ დოკუმენტში ქართული მხარის მიერ შეტანილი კორექტივების შემდეგ, აფხაზური მხარისათვის დოკუმენტი მიუღებელია."

"მზადა ვართ, გავითვალისწინოთ აფხაზური მხარის საფუძვლიანი შენიშვნები, უფრო მეტად ავსახოთ აფხაზური მხარის პოზიციები ამ დოკუმენტში და წავიდეთ კომპრომისის გზით," - აღნიშნა ალასანიამ, რომლის თქმითაც, იგი ეთანხმება სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქართული მხარის მიერ შეტანილი შენიშვნების შემდეგ "დოკუმენტში ახალი ელემენტები გაჩნდა". ალასანია დარწმუნებულია, რომ დოკუმენტში გაჩენილი "ახალი ელემენტების განხილვა მხოლოდ გააღრმავებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს და დადებით დინამიკას შესძენს მოლაპარაკების პროცესს". ალასანიას განმარტებით, დოკუმენტთან დაკავშირებით აფხაზურ პრეტენზიებსა და პოზიციაზე მას საფუძვლიანი საუბარი მხოლოდ მას შემდეგ შეეძლება, როცა აღნიშნულთან დაკავშირებით, სოხუმის წინადადებებს მას გაეროს გენმდივნის სპეცწარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი გადასცემს. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის წინადადებებს იგი ჯერ არ გასცნობია, იცის, რომ აფხაზური მხარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა დოკუმენტის დებულება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტორთა სიაში დსთ-ს სამშვიდობო ძალები არ განიხილება და საუბარია სოხუმის ხელისუფლების მიერ დევნილთა არა მარტო გალის, არამედ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დაბრუნების აღიარებაზე. მხარეთა წარმომადგენლებმა - საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ და სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ "ომის განუახლებლობის შესახებ" შეთანხმების პროექტზე მუშაობა 2005 წლის 6 დეკემბერს სოხუმში დაასრულეს. მხარეებმა "ომის განუახლებლობის" დოკუმენტზე მუშაობა 2003 წლის ივლისში დაიწყეს. აფხაზეთის საკითხებში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირადმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ, აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების წინადადებები აფხაზურ მხარეს 2005 წლის აგვისტოში, თბილისში გაეროს ეგიდით გამართულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე გადასცა. იმავე დოკუმენტში ქართული მხარის შესწორებები ირაკლი ალასანიამ ჰაიდი ტალიავინს გასულ კვირას გადასცა.

*ინტერპრესნიუსი*

# სახელმწიფო მინისტრის ანგარიში

სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გია ბარამიძე დღეს საზოგადოების წინაშე გასული წლის ანგარიშით წარდგება. სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ 2005 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობაში ჩამოყალიბდა IPAP-ის იმპლემენტაციის ქმედითი მექანიზმი, რომელიც დადებითად შეფასდა ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით საქართველოს MAP-ში (ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა) ჩართვის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით განხორციელდა ვიზიტები ნატო-ს წევრ სახელმწიფოებში, ნატო-ს შტაბ-ბინაში. ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოპ სხეფერმა სახელმწიფო მინისტრს ოფიციალურად განუცხადა, რომ რომ ნატო-ს კარი ღიაა საქართველოსთვის.

2005 წელს დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) თაობაზე. მიღებულია კანონები საგადასახადო, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და განათლების სფეროებში.

2004 წლის ივნისში საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) წევრი გახდა, ხოლო 2004 წლის 29 სექტემბერს ევროკომისიამ მიიღო რეგულაციების პროექტი ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტთან (ENPI) დაკავშირებით, რომლის მექანიზმი იქნება უფრო მოქნილი, სერიოზული საინვესტიციო კომპონენტების შესაძლებლობით და ადმინისტრირების გამარტივებული მეთოდებით. 2007 წლის პირველი იანვრიდან საქართველო მიიღებს დახმარებას აღნიშნული ინსტრუმენტის ფარგლებში.

ევროკავშირთან თვისობრივად ახალი თანამშრომლობის დაწყება განაპირობებს დახმარების ახალ პერსპექტივებს, მათ შორის, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც 2007 წლიდან ამოქმედდება. ამავდროულად, ევროკავშირის ტრადიციული პროგრამა "ტასისი" ასრულებს მუშაობას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს "ტასისი"-ს ბოლო - 2006 წლის გეგმის ფორმირება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სასტუმრო "თორში" აკაკი ასათიანისა და "სახალხო ფორუმის" ორგანიზებით, მეცნიერებათა აკადემიისა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა. განიხილებოდა შარშან ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების პროცესი და შემდგომი შედეგები. როგორც სიტყვით გამომსვლელებმა აღნიშნეს, ეროვნული გამოცდები არაერთი დარღვევით გამოირჩეოდა და არც სტრუქტურული საკითხები იყო სრულყოფილი. მათი თქმით, ამის განცხადების საფუძველს პრესასა და განათლების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე არაერთხელ გამოქვეყნებული ჩარიცხული სტუდენტების განსხვავებული სიები, აგრეთვე, შედეგის გასაჩივრების არასწორი მეთოდები და სხვა საკითხები იძლევა. "ქართული მეცნიერებისა და განათლების გარშემო დღეს არსებული ნეგატიური ვითარება იმდენად აქტუალურია, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ, გამოვეხმაუროთ. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება, ჯერ კიდევ, ალექსანდრე კარტოზიას მინისტრობისას იგეგმებოდა და ამ საკითხზე აქტიური მუშაობაც მიმდინარეობდა. ახალი ხელისუფლების განათლების სამინისტრომ კი, ხალხის დასანახად, გამოცდები დაჩქარებული ტემპით ჩაატარა, რამაც მთლიანი პროცესის არასრულყოფილება გამოიწვია. განათლების რეფორმის აუცილებლობას ჩვენც ვაღიარებთ, მაგრამ იგი უფრო რაფინირებულად უნდა განხორციელდეს," - განაცხადა აკაკი ასათიანმა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში დსთ-ს ქვეყნებს სოხუმის წინააღმდეგ 10 წლის წინ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გაუქმებისაკენ მოუწოდებს. "აფხაზეთის წინააღმდეგ შემოღებულ ეკონომიკურ სანქციებს არ შეეძლო, საქართველოსათვის პოლიტიკური სარგებელი მოეტანა, რადგან არ არსებობს გარემოება, რამაც შეიძლება აიძულოს აფხაზი ხალხი, უარი თქვას დამოუკიდებლობაზე," - განაცხადა ბაგაფშმა. მისი თქმით, სანქციებმა მკვეთრად გააუარესა რესპუბლიკაში არსებული ჰუმანიტარული მდგომარეობა. "სამწუხაროდ, ქვეყნები, რომლებმაც ამ გადაწყვეტილების მიღებას ხელი მოაწერეს, ადამიანების ტანჯვის მიზეზი გახდნენ," - აღნიშნა ბაგაფშმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ირანს ფინანსური ანგარიშები აზიის ქვეყნებში გადააქვს

ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესმა საბჭომ ნავთობის სამინისტროს და მთავრობასთან მჭიდრო ურთიერთობის მქონე ბანკებს უბრძანა, შვეიცარიის გარდა ყველა ქვეყნის ბანკებიდან ფული გამოიტანონ. არაბული გაზეთის "აშ-შარქ ალ-აუსათის" ინფორმაციით, ფული სინგაპურში, შანხაიში, ჰონკონგსა და მალაიზიაში მდებარე აზიურ ბანკებში გადაირიცხება. ირანის ცენტრალური ბანკის წყაროს თქმით, ევროპიდან ფულის გამოტანა ხელისუფლებამ იმიტომ გადაწყვიტა, რომ ევროპის ქვეყნების მიერ ირანის საბანკო ანგარიშების გაყინვა არ დაუშვას.

როგორც გაზეთი "ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, აშშ-ს ადმინისტრაცია და ევროპის ქვეყნების მთავრობები ცდილობენ, თავიდან აიცილონ ირანის მიმართ მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაწესება, რათა ირანის მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობილებების ზრდის პროვოცირება არ მოახდინონ. დიპლომატთა თქმით, სანქციების ალტერნატივად ირანის ხელმძღვანელთა უცხოური საბანკო ანგარიშების დაყადაღება განიხილება.

"ევროსამეულმა" - დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა - მოამზადა რეზოლუციის პროექტი მოთხოვნით - ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი განსახილველად გაეროს უშიშროების საბჭოს გადაეცეს. ამ დოკუმენტს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) მმართველთა საბჭომ უნდა უყაროს კენჭი. 2 თებერვალს სააგენტო "ირანული დოსიეს" საკითხზე საგანგებო სხდომას გამართავს.

გასულ კვირას ლონდონმა, ბერლინმა და პარიზმა თეირანთან მოლაპარაკების გაგრძელებაზე უარი განაცხადეს. მოლაპარაკების განახლების წინადადებით "ევროსამეულს" ირანმა მიმართა, მაგრამ უარი მიიღო.

ევროკავშირისა და აშშ-ს შეშფოთება გამოიწვია გასული კვირის დასაწყისში ირანის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, ურანის გამდიდრების სფეროში კვლევითი სამუშაოების განახლების შესახებ.

# ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება

## საფარმურატ ნიაზოვი მოსკოვს ეწვევა

რუსული საინფორმაციო სააგენტო "რიანოვოსტი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი 22-23 იანვარს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა მოსკოვს. რუსი მაღალჩინოსნების თქმით, შეხვედრაზე რაიმე ოფიციალური დოკუმენტის ხელმოწერა არ იგეგმება, უბრალოდ, საუბარი ორმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოებში წარიმართება. უმთავრესი თემა, სავარაუდოდ, სათბობ-ენერგეტიკული პრობლემის განხილვა იქნება. ნავთობისა და გაზის სფეროში თანამშრომლობა პრიორიტეტული ორივე ქვეყნისთვის 2003 წლის აპრილში ხელმოწერილი შეთანხმების შემდეგ გახდა. საუბარია რუსეთისთვის თურქმენული გაზის მიწოდების ზრდაზე - თუ 2004-2005 წლებში მიწოდება 3-4 მილიარდი კუბური მეტრით განისაზღვრებოდა, 2007 წლისთვის მან 80-90 მილიარდ კუბურ მეტრს უნდა მიაღწიოს. შთამბეჭდავ ციფრებზე რომ არაფერი ითქვას, შეთანხმება რუსეთისა და უკრაინის ბაზრებისთვის თურქმენეთის გაზის უფრო ძლიერი ტრანსპორტირების საშუალებების დანერგვასაც ითვალისწინებს. გარდა ამისა, გეოგრაფიული ფაქტორის გამო ხელშეკრულება ორმხრივი პროექტების შექმნასაც ითვალისწინებს, რომლის მეშვეობითაც თურქმენული გაზი ევროპის ბაზარსაც დააკმაყოფილებს. თუმცა, თავი რომ დავანებოთ ევროპასთან თურქმენეთის პარტნიორობაში რუსეთის ჩარევას, ოფიციალური მოსკოვი თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანის გაზსადენითაც არის დაინტერესებული. ამ შემთხვევაში, როგორც რუსი პოლიტიკური მიმომხილველი პეტრე გონჩაროვი აღნიშნავს, გაზის სფეროში რუსი სპეციალისტების გამოცდილება, რომლებიც ავღანეთში მუშაობენ, თურქმენეთისთვისაც სასარგებლოა.



გარდა ზემოაღნიშნული მთავარი თემისა, შეხვედრაზე მთელი რიგი სხვა საკითხებიც იქნება განხილული. მეორე თემა, რომელზეც, სავარაუდოდ, მოუწევთ ორი ქვეყნის ლიდერებს საუბარი - ყოფილ საბჭოთა სივრცეში ორმაგი მოქალაქეობის დაშვებაა, რომლითაც რუსეთი საკმაოდაა დაინტერესებული.

მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ავღანური ნარკოტიკებია. თურქმენეთს ნარკოდინებასთან ბრძოლა დამოუკიდებლად ურჩევნია და არა ავღანეთის გარშემო "ანტინარკოტიკული სარტყელის" შექმნითა თუ რუსეთისა და ტაჯიკეთის სააგენტოებთან თანამშრომლობით. თურქმენეთს კი ავღანეთისგან 800 კილომეტრიანი სასაზღვრო ზოლი ჰყოფს.

მეოთხე პრობლემა, რომელზეც საუბარი მოუწევთ ვლადიმირ პუტინსა და საფარმურატ ნიაზოვს, კასპიის სტატუსია. ამ პრობლემის გადაჭრა, თავის დროზე, საფარმურატ ნიაზოვის ინიციატივით გადაიდო.

რაც შეეხება თურქმენეთის პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის ინიციატივას, იგი რუსული მხარისაგან წამოვიდა. ორდღიანი შეხვედრის თარიღი 5 იანვარს სატელეფონო საუბრისას შეთანხმდა.

# ავიაკატასტროფა უნგრეთში

## სლოვაკი მშვიდობისმყოფელები კოსოვოდან სამშობლოში ბრუნდებოდნენ

44 ადამიანი დაიღუპა სლოვაკეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავის "ან-24" კატასტროფის შედეგად. თვითმფრინავი უნგრეთის ტერიტორიაზე, დაბა ტელკიბანიას მახლობლად ჩამოვარდა. "ან-24" კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინადან სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში მიფრინავდა. სლოვაკეთის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, თვითმფრინავის ბორტზე კოსოვოში KFOR-ის სლოვაკური მისიის 30 ჯარისკაცი, 7 სამხედრო მრჩეველი და ეკიპაჟის 8 წევრი იმყოფებოდა. სლოვაკი სამშვიდობოები სამშობლოში ბრუნდებოდნენ. უკანასკნელად ეკიპაჟი დისპეტჩერებთან კავშირზე გუშინწინ, 19.30 საათზე გავიდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, თვითმფრინავი სლოვაკეთის და უნგრეთის საზღვარზე, მთებში ჩამოვარდა.

გუშინ დილით მაშველებმა თვითმფრინავის ნამსხვრევებში მხოლოდ 16 გვამი ალმოაჩინეს, - აცნობა ჟურნალისტებს სლოვაკეთის თავდაცვის სამინისტროს პრესმდივანმა. ავიაკატასტროფაში სასწაულებრივად გადარჩა ერთი ჯარისკაცი. კოშიცეს სამხედრო-ჰოსპიტალში ექიმები მისი სიცოცხლისთვის იბრძვიან. მედიკოსების თქმით, სამხედროს თავის მძიმე ტრავმა აქვს. როგორც "როიტერი" იუწყება, გადარჩენილმა ჯარისკაცმა თვითმფრინავის ჩამოვარდნისთანავე ცოლს მობილური ტელეფონით დაურეკა და უთხრა, რომ ცოცხალია.

ავიაკატასტროფის ადგილზე კი სამაშველო-საძიებო სამუშაოები გრძელდება. "ან-24"-ის ფიუზელაჟი მთლიანად დამწვარია. კატასტროფის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

# თურქეთი კვლავ "ფრინველის გრიპს" ებრძვის

"ფრინველის გრიპი" თურქეთის კიდევ ერთ რაიონში - ქვეყნის ევროპულ ნაწილში მდებარე პროვინცია თექირდაგში გამოვლინდა. პროვინციის ჩორლუს მაზრაში დაღუპული შინაური ფრინველის ნიმუშების გამოკვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ფრინველები H5N1-ით იყვნენ დაინფიცირებული. ამის შესახებ ტელეკომპანია "Kanal 7" ადგილობრივ ხელისუფლებაზე დაყრდნობით იუწყება.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მაზრაში შინაური ფრინველის განადგურება დაიწყო. სამკილომეტრიან ზონაში გამოცხადებულია კარანტინი და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებები ტარდება. H5N1-ის ეპიდემიამ თურქეთის ტერიტორიის 1/3-ზე მეტი მოიცვა. დღეისთვის "ფრინველის გრიპი" ქვეყნის 81-დან 28 პროვინციაშია უკვე გამოვლენილი.

*ინტერპრესნიუსი*

მოკლედ

### თბილისში ხელნაწერთა ინსტიტუტის მუზეუმი აშენდება

თბილისში ხელნაწერთა ინსტიტუტის მუზეუმი აშენდება. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ყოფნისას განაცხადა. გუშინვე პრეზიდენტმა ხელი მოაწერა შესაბამის განკარგულებას. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ახალი მუზეუმი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ლამაზი უნდა იყოს და ის ინსტიტუტის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ფილიალი გახდება, სადაც საგანძურის ექსპონირებისა და განთავსებისთვის საჭირო პირობები შეიქმნება. გარდა ამისა, პრეზიდენტის განკარგულებით, შენარჩუნდება ინსტიტუტის ახლანდელი შენობა და გაუმჯობესდება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ამ გადაწყვეტილებით იგი ზურაბ ჟვანიას სურვილს ასრულებს. მუზეუმის მშენებლობისათვის საჭირო ძირითადი სამუშაოები ერთ თვეში დაიწყება. "ინსტიტუტში დაცულ ნიმუშებს საქართველოსთვის დიდი სამეცნიერო-კულტურული მნიშვნელობა აქვს. ყველაზე მეტად სწორედ ამით შეგვიძლია მსოფლიოს გაკვირვება," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. მისივე თქმით, უმოკლეს პერიოდში მკვეთრად გაიზრდება მეცნიერული კვლევების დაფინანსება. პრეზიდენტის თქმით, როგორც კი დასრულდება სამეცნიერო ინსტიტუტების დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბების პროცესი, მეცნიერების სისტემაში მინიმალური ხელფასი 115 ლარამდე გაიზრდება. პრეზიდენტის დღევანდელ გადაწყვეტილებას ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდი ნაწილის უკმაყოფილება მოჰყვა. კერძოდ, ისინი მიიჩნევენ, რომ ინსტიტუტის ფილიალის ჩამოყალიბება გამოიწვევს კოლექციისა და ფონდების დანაწევრებას, რაც დარგისთვის დამღუპველი იქნება. ინსტიტუტის წარმომადგენლების აზრით, ხელნაწერთა ინსტიტუტი მთლიანად უნდა გადავიდეს ახალ შენობაში. წინასწარი ინფორმაციით, ახალი მუზეუმი საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება. **ინტერპრესნიუსი**




# რუსი სამშვიდობოები უნდა წავიდნენ!

პირველი გვერდიდან

**"იმედი, რომ პარლამენტის მიერ გასული წლის ოქტომბერში მიღებული დადგენილების შემდეგ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, არ გამართლდა. მეტიც, რუსი სამშვიდობოების ქმედებების გამო, სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა და ეს კონკრეტული ფაქტებითაც დასტურდება,"** - აცხადებს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე. გივი თარგამაძის თქმით, ასეთ სიტუაციაში, საქართველოს ხელისუფლებას ისღა დარჩენია, რომ ზემოთ აღნიშნულ დადგენილებაში გაწერილი სქემის მიხედვით იმოქმედოს და ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის პროცედურებზე იფიქროს.

თავის მხრივ, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი მოითხოვს, რომ შეიცვალოს შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატი, რადგან ეს სტრუქტურა ამჟამად "სავსებით უუნაროა".

**"როგორც კი კომისია რაღაცის გაკეთებას დააპირებს, იმავე წუთში საქმეში ერევიან ძალები, რომლებიც ყველაფერს უშედეგოს ხდიან. "ესკაკა"-ს ფორმატის შეცვლის გარეშე, სამშვიდობო პროცესი წარმატებით ვერ დასრულდება,"** - მიიჩნევს კოტე გაბაშვილი. ამასთან, იგი "ცინიკურსა და სალდაფონურ შეცდომას" უწოდებს შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მურატ კულახმეტოვის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში, იგი სამშვიდობო ძალების კონტინგენტს გაზრდის.

**"ამის მოთმენა უკვე შეუძლებელია. სამიოდე კვირაში, ალბათ, ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გეგმის განხორციელებას შეუწყობს ხელს,"** - აღნიშნავს გაბაშვილი.

პარლამენტის და მთავრობის მხრიდან "შესაბამისი ნაბიჯის გადადმის" აუცილებლობაზე საუბრობს, აგრეთვე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა, რომელიც სხვა უამრავ ფაქტთან ერთად, იმითაც არის აღშფოთებული, რომ ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაური, პოლკოვნიკი ბედიანაშვილი თავის სამუშაო ადგილას არ იქნა დაშვებული და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ მასზე ძებნა გამოაცხადა.

**"უახლოეს პერიოდში მდგომარეობა რადიკალურად უნდა შეიცვალოს,"** - მოითხოვს ნიკა რურუა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია კი შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის იმ განცხადების გამო, რომლის მიხედვითაც, თუ რომელიმე რეგიონში გეოპოლიტიკური ვითარება რუსეთისთვის არასასურველი სცენარით განვითარდება, ეს ოფიციალურ მოსკოვს სამხედრო ქმედებების დაწყების უფლებას აძლევს. რუსი მინისტრის ამ განცხადების საფუძველზე, გიგა ბოკერია დაასკვნის, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებით რუსეთის პოზიცია არის არა მშვიდობისმყოფელური, არამედ აგრესორული.

**"კონფლიქტის ზონებში ვითარების გამწვავების მთავარი წყაროა ე.წ. "სამშვიდობო კონტინგენტი" და მისი გასვლა პოლიტიკური დიალოგის გამართვისა და სამშვიდობო გეგმის რეალიზების საშუალებას იძლევა,"** - ამტკიცებს ბოკერია.

ერთი სიტყვით, გუშინდელი ბრიფინგის პათოსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ წილი ნაყარია - საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, როგორც ჩანს, უკვე მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება რუსი სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნის თაობაზე. კონფლიქტების მოგვარებასა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ახალი ერა იწყება...

FM ცნობი 92.0

# უცნობი თავისუფლება

## გადაცემის სტუმარია ისტორიკოსი, ფილოსოფოსი გურამ ყორანაშვილი.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** კარგად არ ვიცით ჩვენი უახლესი წარსული. გამიჩნდა შთაბეჭდილება, რომ მენშევიკური მმართველობის წლები, საბჭოთა პერიოდი და ეროვნული მოძრაობა ერთი და იგივე ავტორების მიერაა დაწერილი. ეროვნული მოძრაობის ტალღაზე იგივე ავტორები საოცრად ემოციურად გადმოსცემენ საქართველოს ისტორიას. ვფიქრობ, ორივე ყალბია.

**გურამ ყორანაშვილი**: მე-20-ე საუკუნის შესწავლაში დიდი ლაქებია. მკვლევარები ცდილობდნენ, რომ ობიექტურები ყოფილიყვნენ, მაგრამ არ გამოდიოდა, რადგან მარქსისტულ-ლენინური იდეებით იყვნენ გამსჭვალულნი. ჩვენც იგივე თვალთახედვით ვხედავდით საქართველოს ისტორიას. ჩვენი უბედურება რაა, მე-20-ე საუკუნის ისტორიის 80-90 პროცენტი იყო სიყალბე. რა უნდა მოსთხოვო ისეთ ისტორიკოსებს, რომლებისთვისაც ამოსავალი ლენინის თეზისები იყო. ისინი ფიქრობდნენ, რომ ისტორია არის კლასობრივი და არა ობიექტური პროცესი.

მავანნი ახალ დროზე გადაერთვნენ. მახსენდება ბიზანტიელი ისტორიკოსი პროქობი კესარიელი, რომელიც როგორც იუსტინიანეს უნდოდა, ისე წერდა ისტორიას. შინაგანად, ისტორიკოსი სენატორული ოპოზიციის წარმომადგენელი იყო და რეალური ისტორიაც ასახა. ჩვენმა ისტორიკოსებმა არ მიბაძეს კესარიელს. თავიანთთვის რომ დაეწერათ, ობიექტურად, დღეს ხომ წავიკითხავდით? რომ არ დამდგარიყო 90-იანი წლები, დღესაც იგივე ჭაობში ვიქნებოდით. დღეს ბევრი რამაა გასააზრებელი, თუნდაც, ფაქტების დონეზე. ილიას მკვლელობის მაგალითზე გეტყვით, რომ წელიწადნახევარი ვიმუშავე და აღმოვაჩინე ძალიან ბევრი დოკუმენტი, რომელიც არ არის ბრუნვაში. იყო ასეთი ისტორიკოსი - ალექსანდრე კოჭლავაშვილი, კონტრდაზვერვის უფროსი, კომუნისტი. მან დაკითხა ბერბიჭაშვილი. მან დატოვა ბევრი მასალა, რომელიც არავის ჰქონდა დამუშავებული. მე დავამუშავე. ამ მხრივ სამკელი ბევრია, მომკელი - არავინ. ისტორიას დაფინანსება სჭირდება. ჩვენი ტრაგედია ისაა, რომ ხელისუფლებას ბევრი რამ არ აინტერესებს. წინათ ჩვენს ისტორიკოსს შეეძლო, საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში ჩასულიყო და არქივში მასალები ენახა. დღეს, ძალიან მდიდარი თუ არ ხარ, ეს შეუძლებელია.

**ა. ე.:** ბევრს ეჩვენება, რომ უკან ყურება არცთუ აქტუალური და საჭირო ამბავია. რატომაა ისტორიოგრაფია საჭირო?

**გ. ყ.:** ეს ძველი ტალღის გამეორებაა. საქართველოში ნიჰილიზმი, თუნდაც ისტორიოგრაფიის მიმართ, ილიას დროსაც იყო. სოციალ-დემოკრატებისთვის წარსული არ არსებობდა, ერთადერთი, მხოლოდ მე-19 საუკუნეში იხედებოდნენ. ჩვენი ოქროს ხანაც კი არ აინტერესებდათ. ფილიპე მახარაძისთვის რუსთაველი არაფერს წარმოადგენდა, მას აინტერესებდა გლეხთა საკითხი.

ისტორია დიდი ჭეშმარიტებაა. ილია როგორც იმეორებდა, "აწმყო შობილი წარსულისგან, არის მშობელი მომავალისა." ისტორია მხოლოდ დოკუმენტებში არაა, რეალობაშიც ხომ არის? ის, რაც მაშინ მოხდა, დღესაც იჩენს თავს. ჩვენ მარტო დღევანდელობის პროდუქტი კი არ ვართ, ისტორიის პროდუქტიც ვართ.

ფარნავაზი რომ გამეფდა, მატიანეს სახით მაშინ დაიწყეს ისტორიის წერა. ბოლო, უდიდესი ისტორიკოსი იყო ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორიის ხუთტომეული მხოლოდ ჯავახიშვილმა შეკრიბა, რასაც სხვა ქვეყანაში 10-20 ისტორიკოსი გააკეთებდა. მივმართავ ისტორიკოსებს, მეცნიერების წარმომადგენლებს: ჩვენ ვიყოთ გულახდილნი და სიმართლე ვილაპარაკოთ, ცალ-ცალკე დაწერილ ისტორიულ საკითხებს საისტორიო სინთეზი სჭირდება. ეს კი ვერ გააკეთა ვერც სიმონ ჯანაშიამ და ვერც სხვამ. მოხდა ისე, რომ 1970-1980 წლებში გამოსცეს 8-ტომიანი, "საქართველოს ისტორიის ნარკვევები." მტრისას იმის წაკითხვა! ესაა, უბრალოდ, ჩაყრილი მასალა. ეს 8 ტომი დაწერა 88 კაცმა.

დღეს ქართველმა თავისი ისტორია რომ არ იცის, საშინელებაა. დღეს პრიორიტეტია ძლიერი ჯარი, რაც სავსებით მისაღები და გასაგებია. მაგრამ ჯარისკაცმა ისტორია არ უნდა იცოდეს? ეს უკულტურობაა.

არც კოსმოპოლიტიზმის ტალღაა ახალი. ნუ გვეტყვიან, რომ ერთ მხარესაა კოსმოპოლიტიზმი და მეორე მხარეს ნაციონალიზმი, შავბნელი გაგებით. რატომ ჰგონიათ, რომ ნაციონალიზმი არის შოვინიზმი, კაციჭამიობა? ეს იყო გერმანული ნაციზმი. ილიას შესახებ რომ ამბობდნენ, ნაციონალისტიაო, პატრიოტიზმს გულისხმობდნენ. მით უმეტეს, როდესაც ჩვენს მმართველ პარტიას "ნაციონალური მოძრაობა" ჰქვია. ადრე იყო ეროვნული მოძრაობა, ახლა დაარქვეს ნაციონალური. ვიცი, შეიცხადებენ, მაგრამ ფაქტია - თქვენ რომ სტალინის ორტომეული ნახოთ, იქ სიტყვა ეროვნულს ვერ ნახავთ, ნახსენებია ნაციონალური. იმას ხომ არ ბაძავენ-მეთქი, ვფიქრობ... ჩამოვთვალოთ: ილია, აკაკი, ვაჟა - რომელი იყო რასისტი და შოვინისტი? ქართველებს მოგვდგამს ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი გაგება. ვაჟამ რომ დაწერა "პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი", ეს ისტორიისთვის კი არ დაწერა, ჩვენთვის დაწერა, რაც თვალწინაა და კვლავ გვჭირდება. ისტორია მხოლოდ მეცნიერება კი არაა, ხელოვნებაცაა და მეცნიერებაც.

## მოკლედ

### შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის სასამართლო პროცესი გადაიდო

საქალაქო სასამართლოში ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის პროცესი 24 იანვრამდე გადაიდო. პროცესის გადადების მოთხოვნით შუამდგომლობა ბრალდებულთა ადვოკატებმა დაზარალებულ კობა ბექაურის პროცესზე არყოფნის გამო დააყენეს, რადგან პროცესზე ბექაურის დაუსწრებლობის მიზეზის შესახებ არანაირი დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი. მოსამართლემ ნინო სანდოძემ დაცვის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. თუმცა, მანამდე მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ადვოკატების შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ. მოსამართლის განცხადებით, ადვოკატების მოთხოვნა უსაფუძვლო იყო. ამის შემდეგ პროკურორმა "მაგთიკომიდან" და "ჯეოსელიდან" ამოღებული სატელეფონო საუბრების შესახებ დოკუმენტაცია წარმოადგინა. დაცვის მხარის შუამდგომლობით დოკუმენტაციას უნდა დაემატოს "მაგთიკომისა" და "ჯეოსელის" გადამცემი ანძების მისამართები, რის მიხედვითაც უნდა გაირკვეს, სადიდან ხორციელდებოდა საბედისწერო ზარები. ამ საკითხების შესახებ სასამართლო 24 იანვარს იმსჯელებს. **24 საათი**

### წერეთლის გამზირზე მომხდარი მკვლელობა გახსნილია

სამართალდამცველებმა წერეთლის გამზირზე ორი დღის წინ მომხდარი მკვლელობის ეჭვმიტანილი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, 18 იანვარს, ღამით, დაუდგენელმა პირმა წერეთლის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცეცხლსასროლი იარაღის გასროლით, კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, ზესტაფონში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, 35 წლის ჯონი ჭუმბაძე, მეტსახელად "ჯონსონა" მოკლა. აღნიშნული დანაშაულის შემდეგ, თავდამსხმელი ჭუმბაძის ავტომანქანით "გოლფ-3" გაიქცა. თბილისის შს მთავარი სამმართველოს და დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად დაადგინეს, რომ აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილია კრიმინალური ავტორიტეტი, მრავალჯერ ნასამართლევი, 36 წლის კახაბერ ბუზუკური, მეტსახელად "ბუზო". შს სამინისტროს ინფორმაციით, ბუზუკური საკუთარი სახლის ეზოში ალყაში მოექცა, სადაც ის წინააღმდეგობის გარეშე დააკავეს. ბუზუკურის ბინის ჩხრეკისას კი აღმოაჩინეს "აკმ"-ის სისტემის ავტომატი, 2 მჭიდი და 60 ვაზნა. ეჭვმიტანილის დაკავებისას სპეციალური ღონისძიებები ტარდება. გამოძიებას თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

### ინგუშეთში ჩეჩნური შეიარაღებული ფორმირების ქართველი წევრი დააკავეს

რუსეთის სამართალდამცველი ორგანოების მიერ ინგუშეთში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, დააკავეს ჩეჩნური შეიარაღებული ფორმირების ქართველი წევრი, ახმეტის რაიონის მკვიდრი, ვინმე თენგიზ ფარულევიძე. რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურის, შამილ ბასაევის დაქვემდებარებაში მყოფი ფორმირების წევრების ბრალდებით, მათ შორის მილიციელებზე თავდასხმებში მონაწილეობისთვის, ფარულევიძე სამ ჩეჩნელთან ერთად დააკავეს. ძალოვნების მტკიცებით, შეიარაღებული ფორმირების წევრები ინგუშეთში მორიგ ტერორისტულ აქტს ამზადებდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

### გენერალ სერგეი ჩაბანს ზუგდიდის სასამართლოში სარჩელი შეაქვს

რუსეთის სამშვიდობო ძალების გენერალი სერგეი ჩაბანი უახლოეს დღეებში ზუგდიდის სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. ამის შესახებ აფხაზური ტელევიზია იტყობინება. აფხაზური ტელევიზიის ცნობით, სერგეი ჩაბანი ზუგდიდის რაიონის სასამართლოში სარჩელს საპატრულო პოლიციის წინააღმდეგ 9 იანვარს, ზუგდიდში რუსეთის სამშვიდობო ძალების პოლკოვნიკის ალექსანდრე კაზანცევის დაკავების გამო შეიტანს. ჩაბანის განცხადებით, ალექსანდრე კაზანცევის დაკავება საპატრულო პოლიციის მიერ უკანონო ქმედება იყო. მისი თქმით, პოლკოვნიკის კუთვნილ ავტომანქანაზე სხვადასხვა სანომრე ნიშნები იმიტომ იყო მიმაგრებული, რომ პოლკოვნიკი კაზანცევი აფხაზეთში გადაადგილების დროს სხვა ნომერს იყენებს, ხოლო ზუგდიდში გადაადგილებისას სხვა ნომრით სარგებლობს. რაც შეეხება საპატრულო პოლიციას, მისი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მათი ქმედება აბსოლუტურად კანონიერი იყო და იმედი აქვთ, რომ სასამართლო პროცესზე კანონიერება გაიმარჯვებს. **ინტერპრესნიუსი**

### ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ სამწლიანი პროექტი ხორციელდება

გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში", პროექტის "არა! - ადამიანებით ტრეფიკინგს" პრეზენტაცია გაიმართა. ამ პროექტს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით 2005 წლის ოქტომბრიდან ახორციელებს. პროექტის ხანგრძლივობა 3 წელია. როგორც პრეზენტაციაზე ასოციაციის თავმჯდომარემ ანა დოლიძემ განაცხადა, ახალი ინიციატივის მიზანია, ხელი შეუწყოს მთავრობას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში. პროექტის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ასოციაცია თანამშრომლობს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებით უწყებათაშორის კომისიასთან, გენპროკურატურასთან, სხვადასხვა სამინისტროსა და დეპარტამენტთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ტრეფიკინგის საკითხებზე მუშაობენ. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია რამდენიმე ღონისძიება, მათ შორის ტრეფიკინგის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილეობა, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის იურიდიული დახმარება, მათთვის თავშესაფარის დაარსება ბათუმში, შესაბამისი პროფესიის წარმომადგენელთათვის (მოსამართლეებისთვის, მესაზღვრეებისთვის და ა.შ.) ტრეფიკინგზე ტრენინგების ჩატარება. როგორც გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი თამარ თომაშვილი აცხადებს, ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში გენპროკურატურამ ბოლო ხანებში სერიოზული ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, გაიზარდა ამ დანაშაულის გამოვლენის ფაქტები. 2004 წელს ტრეფიკინგის ფაქტებზე სისხლის სამართლის 7 საქმე აღიძრა. 2005 წლისთვის კი ამ მაჩვენებელმა 24-ს მიაღწია. ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი 6 პირი კი პასუხისგებაშია მიცემული. ტრეფიკინგის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა კი დაუდგენელია. ამის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ ხშირად მსხვერპლი ვინაობის გამჟღავნების წინააღმდეგია. **მედიანიუსი**

### ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში მონაწილეობას სამართალდამცველებიც მიიღებენ

გალში, გაერო-ს ეგიდით, ქართულ-აფხაზური შეხვედრა გაიმართება. შეხვედრაზე მხარეები გალის რაიონში გართულებულ ვითარებაზე და კონფლიქტის ზონის ამ რაიონში უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ. გალში დაგეგმილ შეხვედრაზე საქართველოს სამთავრობო დელეგაციას კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, ხოლო აფხაზურისას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა უხელმძღვანელებენ. სახელმწიფო მინისტრის აპარატში მიღებული ინფორმაციით, შეხვედრაში მონაწილეობას მხარეთა სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებიც მიიღებენ. როგორც აფხაზეთის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აცხადებს, გალში დაგეგმილ შეხვედრასთან დაკავშირებით, სოხუმმა თბილისს სამართალდამცველი ორგანოების პირველი პირების მონაწილეობა შესთავაზა. "იმ შემთხვევაში, თუ შეხვედრაში მონაწილეობას საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი მიიღებს, სოხუმიდან გალში აფხაზეთის შს მინისტრი ოთარ ხეცია და უშიშროების მინისტრი იური აშუბაც ჩავლენ, მაგრამ თუ მერაბიშვილი გალში ჩასვლაზე უარს იტყვის, შესაბამისად, აფხაზური მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობას შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრების მოადგილეები მიიღებენ", - აცხადებს სერგეი შამბა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან მიღებული ინფორმაციითვე, შეხვედრაზე ქართული მხარე გალის რაიონში მცხოვრები ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ აფხაზური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკას და რეგიონში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებას გააპროტესტებს. ასევე, ქართული მხარე აფხაზური მხარის წინაშე კვლავ გალის რაიონში გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნისა და გაეროს სამოქალაქო პოლიციის ამოქმედების საკითხს დააყენებს. **ინტერპრესნიუსი**


**ფონდი ღია საზოგადოება საქართველო**

**თქვენ ისევ სჭირდებით ქვეყანას**

"უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამის" ფარგლებში ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" ატარებს პროფესიული გადამზადების უფასო კურსებს.

პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური სწავლების კურსები კერძო ბიზნესის წამოწყების, მისი წარმატებული განვითარებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ 28-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეებს.

კურსის დამთავრებისას ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი. წარმატებულ კურსდამთავრებულს ფონდი ხელს შეუწყობს გრანტებისა და კრედიტების მოძიებაში.

სწავლების კურსებს ახორციელებენ ორგანიზაციები CTC (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი) და ESM თბილისი (მართვის ევროპული სკოლა).
სწავლების ხანგრძლივობაა 6 თვე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ CV (ავტობიოგრაფია) და შრომის წიგნაკის ასლი შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ყაზბეგის 34, ნაკვეთი III**
**საბუთები მიიღება 2006 წლის 5 თებერვლამდე.**
**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 91 59 16.**
**ეწვიეთ ვებგვერდს: www.osgt.ge**

ESM ctc


# ახალი პასპორტის პრეზენტაცია

*იუსტიციის სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს ახალ პასპორტს სთავაზობს. 23 იანვარს იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე საქართველოს ერთ-ერთ მოქალაქეს, მას ვისაც რიგის მიხედვით ეკუთვნის პასპორტის აღება, პირველ ახალ პასპორტს პირადად გასცემს. გუშინ კი, პრეზენტაციას, რომელიც ახალ პასპორტს მიეძღვნა, იუსტიციის მინისტრის მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილი და იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ფორჩხიძე უძღვებოდნენ.*



*ახალი ტიპის პასპორტების გაცემა 23 იანვრიდან დაიწყება.*

კონსტანტინე ვარძელაშვილის განცხადებით, ახალი ტიპის პასპორტების გაცემა 23 იანვრიდან დაიწყება. მისივე თქმით, არსებობს ახალი ტიპის სამი ფერის პასპორტი: წითელი ფერის - ორდინალური; შავი ფერის - სამსახურებრივი და ლურჯი - დიპლომატიური პასპორტი. ახალი პასპორტი ფრანგული კომპანია "იმპრემიერე ნაციონალეს" მიერ მზადდება.

ტექნიკური პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ახალი პასპორტის გაცემა ეტაპობრივად მოხდება. სამოქალაქო რეესტრის თბილისის ოფისებში ახალი პასპორტების გაცემის პროცესი 30 იანვრამდე დაიწყება, ხოლო საქართველოს ყველა რეგიონულ სამსახურში - 10 თებერვლამდე.

ახალი პასპორტის ბეჭდვისას გამოიყენება სპეციალურად შემუშავებული პროგრამა. პასპორტი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და მისი გაყალბება შეუძლებელია.

პასპორტის ფურცლებზე განთავსებულია საქართველოს ხედები. გაერთიანებული საქართველოს რუკა, ქართული ჩუქურთმები, ისტორიული ძეგლები, საქართველოს გერბი და დროშა. ახალ პასპორტში მოქალაქის ფოტოსურათი პირველივე გვერდზე განთავსდება. პირადი მონაცემების შეცვლის ნებისმიერი მცდელობა პასპორტის დაზიანებას გამოიწვევს. დოკუმენტის შიდა გვერდები დაცულია ულტრაიისფერი გამოსახულებით, რომელიც ექსკლუზიურია თითოეული გვერდისთვის.

პასპორტისა და პირადობის მოწმობების ჩვეულებრივი წესით მიღება მოქალაქეს საბუთების ჩაბარებიდან მეათე დღეს შეუძლია. პასპორტის მისაღებად დაწესებული სახელმწიფო ბაჟი - 35 ლარი კვლავ უცვლელი რჩება, ხოლო პირადობის მოწმობა უფასო იქნება.

თუმცა, 3 თებერვლიდან მოქალაქეებს პირადობის მოწმობისა და პასპორტის დაჩქარებულ ვადაში აღებაც შეეძლებათ, რისთვისაც მათ დამატებითი თანხის გადახდა მოუწევთ.

ხუთ დღეში, პასპორტის მისაღებად დაწესებული გადასახადი 50 ლარი იქნება; სამ დღეში მისაღებად - 80 ლარი; პასპორტის 24 საათის განმავლობაში მისაღებად მოქალაქეს 160 ლარის გადახდა მოუწევს, ხოლო განაცხადის შეტანის დღესვე, პასპორტის გაცემა 205 ლარი ეღირება.

პირადობის მოწმობის მეხუთე დღეს მისაღებად დაწესებული გადასახადი 3 ლარია; მესამე დღეს - ხუთი ლარი; 24 საათში - 15 ლარია, ხოლო განაცხადის შეტანის დღესვე - 25 ლარი.

*24 საათი*

# "მეამბოხე მოსამართლეები" იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევენ

ყოფილი მოსამართლეები - მერაბ ტურავა და ნინო გვენეტაძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის მიერ მათ მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას უკანონოს უწოდებენ. ამის მოტივად მერაბ ტურავა და ნინო გვენეტაძე სადისციპლინო კოლეგიის წევრის, პარლამენტარ ნინო კალანდაძის არაკომპეტენტურობას ასახელებენ. უფრო ზუსტად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის წევრად პარლამენტარ ნინო კალანდაძის ყოფნას კანონდარღვევად მიიჩნევენ.

ნინო გვენეტაძის განცხადებით, სადისციპლინო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი უნდა იყოს. ამასთან, მას სპეციალობით მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეს. ნინო კალანდაძის სპეციალობით მუშაობის სტაჟი კი მხოლოდ 2 წელსა და 6 თვეს შეადგენს. **"ამდენად, მისი ყოფნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უკანონოა და, შესაბამისად, უკანონოა ყველა ის გადაწყვეტილებაც, რომელიც საბჭოში მისი მონაწილეობით არის მიღებული,"** - აცხადებს ნინო გვენეტაძე. **"საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა ნინო კალანდაძის კანდიდატურა კანონდარღვევით წარუდგინეს დასამტკიცებლად მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს"**, - განაცხადა მერაბ ტურავამ. მისივე თქმით, აქედან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კოლეგიის ის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მოსამართლეებს უფლებამოსილება შეუჩერდათ, რადგანაც აღნიშნული გადაწყვეტილება კოლეგიის უკანონო შემადგენლობამ მიიღო და მას ამის გამო, იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ყოფილი მოსამართლეები საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის იმ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვენ, რომლითაც ნინო კალანდაძე იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის წევრად დამტკიცდა. ამ მოთხოვნით ისინი სარჩელს თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანენ. მოსამართლეები გენერალურ პროკურატურასაც მიმართავენ და ამ დარღვევაზე იუსტიციის საბჭოს მდივნის ვალერი ცერცვაძისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილისგანაც რეაგირებას მოითხოვენ.

მოსამართლეთა თქმით, თუ მათ სარჩელს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დააკმაყოფილებს, ავტომატურად გაუქმდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 25 დეკემბრის დადგენილება, რომლითაც მოსამართლეები თანამდებობიდან გათავისუფლდნენ. თუმცა, მოსამართლეების განცხადებით, მათ ამის ილუზია არ გააჩნიათ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის იურისტთა ასოციაციის ოფისში ნინო გვენეტაძემ, მერაბ ტურავამ, მურმან ისაევმა და მათმა ადვოკატებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

**"ჯერ დამაბრალეს, თითქოს იურისტის დიპლომი არ მქონდა, შემდეგ სტაჟს მიადგნენ. არ არის გამორიცხული, დროთა განმავლობაში ჩემს მოქალაქობასაც გადასწვდნენ და ესეც საეჭვოდ მიიჩნიონ,"** - აცხადებს თავად ნინო კალანდაძე. მისივე თქმით, მას იურისტად მუშაობის 5 წლის სტაჟი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობისას დაუგროვდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგია თანამდებობიდან გათავისუფლებული მოსამართლეების საჩივარს 23 იანვარს განიხილავს. ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა, თამარ ლალიაშვილი და მურმან ისაევი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის მიერ 25 დეკემბერს მიღებულ იმ გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ, რომლითაც მათ უფლებამოსილება შეუჩერდათ.

მოსამართლეები კი სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას პოლიტიკური მოსაზრებებით ხსნიან, რადგან, მათი მტკიცებით, ისინი ხელისუფლების დაკვეთების შეუსრულებლობისთვის "სამაგალითოდ დასაჯეს".

*24 საათი*

# ევროპის საბჭო საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობას განიხილავს

*რამდენიმე დღეში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ დადგენილების პროექტს განიხილავს. შეგახსენებთ, რომ დადგენილების პროექტი 2005 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა და იგი ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებმა - მათიას იორშმა და ევგენი კირილოვმა მოამზადეს. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, დადგენილების პროექტში შეფასებულია საქართველოს სახალხო დამცველის მუშაობაც.*

დადგენილების პროექტში ნათქვამია, რომ სახალხო დამცველის აპარატი მნიშვნელოვან და სასარგებლო საქმიანობას ეწევა და შესაბამისად, მას სრული პოლიტიკური და ფინანსური დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოს, რაც საზოგადოების ინტერესების დაცვისათვის სჭირდება.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, მათი უწყების თანამშრომლები 2005 წლის იანვრიდან თბილისისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით პოლიციის განყოფილებებისა და სამმართველოების, წინასწარი დაკავების ცენტრების ყოვლისმომცველ მონიტორინგს ატარებენ, პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენის მიზნით. მონიტორინგის შედეგების ანალიზისას ზოგიერთი პოზიტიური ტენდენცია გამოიკვეთა - თუ მონიტორინგის დასაწყისში აღმოჩენილ დარღვევათა უმრავლესობა იყო წამება და ცემა, ამჟამად დარღვევები ძირითადად პროცედურული ხასიათისაა (მაგალითად, დაკავებულს არ განემარტა მისი უფლებები). დაზიანებათა უმეტესობა დაკავებულს მიყენებული აქვს დაკავების მომენტში, მაგრამ ასეთი დაზიანებების მიყენების სიხშირე საკმაოდ მაღალია, რაც, სოზარ სუბარის აზრით, იმის მანიშნებელია, რომ პოლიცია ჯერ კიდევ ხშირად მიმართავს ძალის გამოყენების მეთოდს.

ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, რომ პრობლემათა უმრავლესობა არასაკმარისი რესურსებით, ცუდი მენეჯმენტითა და კორუფციით არის გამოწვეული.

სახალხო დამცველის აპარატს აქვს რეგიონალური წარმომადგენლობები და ასევე შეუძლია რწმუნება მიანიჭოს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა მათ ნებისმიერ დროს შეძლონ პოლიციის განყოფილებებში შესვლა.

სახალხო დამცველის აპარატმა ბოლო პერიოდში წამოიწყო ფსიქიატრიული საავადმყოფოების მონიტორინგი და ბევრი დარღვევა აღმოაჩინა.

"ჩვენ გვჯერა, მონიტორინგმა გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია პოლიციაზე. უკანასკნელ ხანებში თბილისში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეინიშნება, რაც პოლიციის განყოფილებებში უკანონო მოპყრობის შემთხვევების მკვეთრ შემცირებაში გამოიხატა", - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

*24 საათი*

# ზურაბ წერეთელი სკანდალში გაეხვა

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე საზოგადოების სამსჯავროზე "პარკის" არაერთი პროექტი იქნა გამოტანილი, სინამდვილეში მის ასაშენებლად რეალურად არაფერი გაკეთებულა. როდესაც 2005 წლის ბოლოს რუსეთის ბუნების დაცვის ზედამხედველობის სამსახურმა ტერიტორიის შემოწმება დაიწყო, ეკოლოგებმა იქ, კარუსელების ნაცვლად, აღმოაჩინეს სააქციო საზოგადოება "სავაჭრო სახლი ეგზოტიკი", კომპანია "სამშენებლო არტელი", ავტოსადგომი "სპექტრი". მოკლედ, როგორც ისინი ფიქრობენ, "რუსული დისნეილენდის" აშენებას იქ არავინ ჩქარობს და ტერიტორია იჯარით არის გაცემული სხვადასხვა კომპანიებსა და ფირმებზე.

თავად ზურაბ წერეთელმა იმავე "კომსომოლსკაია პრავდასთვის" მიცემულ ინტერვიუში, მის წინააღმდეგ საქმის აღძვრის საშიშროებაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: **"იმის ნაცვლად, რომ შემოქმედ ადამიანებს საქმის კეთებაში დაეხმარონ, ზოგიერთები მათთვის ხელის შეშლას ცდილობენ. მე მყავს მტერი - ერთი დეპუტატი, რომელსაც ამ მიწის ხელში ჩაგდება სურს. მაგრამ ეს მიწა ხომ მოსკოვს ეკუთვნის. მე ის ბავშვებისთვის შევინარჩუნე, 18 ქვეყნის გამოცდილება შევისწავლე, რომ "დისნეილენდი" ავაშენოთ. უკვე პროექტიც მზადაა და წელს მშენებლობასაც დავიწყებთ. გასაკეთებელი იქ ძალზე ბევრია. აი, მაგალითად, იქ ბაზრობა იყო და უკვე გავასახლეთ".**



რაც შეეხება "მტერი-დეპუტატის" ვინაობის გამხელას, ზურაბ წერეთელმა ამის გაკეთება არ ისურვა: **"ჯერ კიდევ ბებია მასწავლიდა, რომ მტრებს კეთილშობილურად უნდა მოექცე და მათივე იარაღით არ უნდა ებრძოლო. მე მხოლოდ ის მსურს, რომ ჩვენს შვილებს სიცოცხლე უხაროდეთ და ბედნიერად იზრდებოდნენ."**

ზურაბ წერეთლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფრთხემ რუსულ მასმედიაში საკმაო ხმაური გამოიწვია. უკვე დღის მეორე ნახევარში რადიოსადგურმა "ეხო მოსკვიმ" ინტერვიუ აიღო მოსკოვის ბუნების დაცვის პროკურორ სერგეი ვორონოვისგან, რომელმაც განაცხადა, რომ ჯერჯერობით არანაირი საქმის აღძვრა დაგეგმილი არ არის, მხოლოდ შემოწმება მიმდინარეობს.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________

**ანკეტა**

სახელი, გვარი.........................................................
ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....................................
საკონტაქტო ტელეფონი..................................................

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაბის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]

[illegible]

# საახალწლო ანაბარი

წლიური

# 11,75%

დოლარი / ევრო




## + საჩუქრად




- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**ბანკი რესპუბლიკა** 29 45 99

ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812

მოკლედ

## ცნობილია საუკეთესო საკლუბო მწვრთნელთა ვინაობა

ისტორიისა და სტატისტიკის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) სამშაბათს გამოაქვეყნა შედეგები, რომლის მიხედვითაც ვიტყობთ წლის საუკეთესო საკლუბო მწვრთნელთა ვინაობას. მაშ ასე:

1. ჟოზე მოურინიო ("ჩელსი") - 159 ქულა
2. რაფაელ ბენიტესი ("ლივერპული") - 152
3. ფრანკ რაიკარდი ("ბარსელონა") - 91
4. გუს ჰიდინკი (პსვ) - 80
5. ფაბიო კაპელო ("იუვენტუსი") - 44
6. ვალერი გაზაევი (ცსკა) - 42

## დიუფი საბოდიშოდ აფრიკის თასს ხედავს

სენეგალის ნაკრების თავდამსხმელმა ელ-ჰაჯი დიუფმა გუშინ ეგვიპტეში დაწყებული აფრიკის თასის გათამაშებამდე განაცხადა, რომ ის და მისი თანაგუნდელები ყველაფერს ილონებენ, რომ კონტინენტის თასს დაეუფლონ და საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაუსვლელობისთვის გულშემატკივართა წინაშე ერთგვარი რეაბილიტირება მოახერხონ.

"სენეგალელები ჩვენზე ძალიან განრისხდნენ იმის გამო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება ვერ მოვიპოვეთ. ახლა მათთვის ერთადერთი საუკეთესო საჩუქარი აფრიკის თასის მოგება იქნება, რაც იმავდროულად ჩვენი წარუმატებლობისთვის მობოდიშების ტოლფასიც იქნება".

## "ჩელსი" "ბარსას" ეტო`ოში 60 მილიონს სთავაზობს

ესპანური AS-ის ცნობით, "ჩელსის" ხელმძღვანელობას განუზრახავს "ბარსელონას" ესპანეთის საუკეთესო ბომბარდირის სამუელ ეტოოს სანაცვლოდ კატალონიურ კლუბს 60 მილიონი ევრო შესთავაზოს. ესპანური გამომცემლობის მტკიცებით, აბრამოვიჩის კლუბის მიერ კამერუნელი ლეგიონერის შესყიდვა სატრანსფერო ბაზრის უმთავრესი საკითხია.

ესპანელი ჟურნალისტები თვლიან, რომ აბრამოვიჩი ისარგებლებს აფრიკის თასის გათამაშებაში ეტოოს მონაწილეობით, რათა მასთან პირადად აწარმოოს მოლაპარაკება. თუმცა, "ბარსელონას" ოფიციალური პირები გუნდის საუკეთესო ბომბარდირის გაყიდვის შესაძლებლობას გამორიცხავენ. AS კი თვლის, რომ კატალონიელები "ჩელსის" წინადადებას დიდი ინტერესით განიხილავენ.

თუ "ბარსა" მართლაც შეელევა ეტოოს, მაშინ მათ საშუალება მიეცემათ მიღებული თანხით შეიძინონ ფრანგი ტიერი ანრი, რომელსაც 2007 წლის ზაფხულში ლონდონის "არსენალთან" ხელშეკრულება ეწურება.

## დაუმს გერმანიის ნაკრების სათავეში ყოფნა სურს

თურქეთის "ფენერბახჩეს" გერმანელ მწვრთნელს კრისტოფ დაუმს, რომელსაც 2000 წელს გერმანიის ნაკრების მწვრთნელად მუშაობა კოკაინთან დაკავშირებული სკანდალის გამო არ დასცალდა, აცხადებს, რომ მოხარული იქნება, თუ ოდესმე კვლავ ჩაუდგება სათავეში გერმანიის ნაკრებს. "როიტერსის" ცნობით, დაუმი მიიჩნევს, რომ მისი კანდიდატურის განხილვა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ამჟამინდელი მწვრთნელი იურგენ კლინსმანი დატოვებს თანამდებობას.

შეგახსენებთ, რომ კრისტოფ დაუმი გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დაინიშნა 2000 წელს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სისხლში კოკაინის კვალი აღმოუჩინეს, მისი ადგილი რუდი ფიოლერს დარჩა.

## აბრამოვიჩი სტადიონის მშენებლობას იწყებს

ინგლისის პრემიერლიგის ლიდერს ლონდონის "ჩელსის" განუზრახავს ახალი, 65-ათასიანი სტადიონი ააგოს. ბი-ბი-სის ცნობით, "არისტოკრატთა" მეპატრონე რომან აბრამოვიჩი მზადაა 36 ჰექტარზე გადაჭიმული საგამოფენო ცენტრის ტერიტორია 400 მილიონ ევროდ შეიძინოს. შეგახსენებთ, რომ ლონდონელთა ახლანდელი სტადიონი "სტემფორდ ბრიჯი" 42 ათას მაყურებელს იტევს.

## ვიტალი კლიჩკოს კიევის მერობა სურს

უკრაინელმა მძიმეწონოსანმა, კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ყოფილმა ჩემპიონმა ვიტალი კლიჩკომ, რომელიც ინტელექტუალი მოკრივის სახელით სარგებლობდა, საკუთარ მომავალთან დაკავშირებით ხუთშაბათს ოფიციალურად განაცხადა. მას, არც მეტი, არც ნაკლები, უკრაინის დედაქალაქის მერობა განუზრახავს და, ვინ იცის, იქნებ საწადელსაც მიაღწიოს.

მარტში ბლოკ "Пора-ПРП"-ის პირველი ნომერი ვიტალი კლიჩკო კიევის მერად იყრის კენჭს, რისთვისაც საკუთარი განცხადებით ოფიციალურად მიმართა ტერიტორიულ საარჩევნო კიმიტეტს.

"ამ ნაბიჯისთვის სერიოზულად ვემზადებოდი. სრულად ვაცნობიერებ საკუთარ შესაძლებლობებს იმ საპასუხისმგებლო თანამდებობისთვის, რასაც კიევის მერობა ჰქვია. მინდა გავხდე კიევის მერი, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი და მინდა, რომ კიევში ცხოვრება უკეთესი გახდეს", - მერობის კანდიდატის სიტყვები მოჰყავს "უკრაინსკაია პრავდას".

კლიჩკო-უფროსის განცხადებით, კიევის მერის არჩევნები მისთვის უმთავრესია. მაგრამ თუ მაინც არჩევანის გაკეთება მოუხდა მერის თანამდებობასა და დეპუტატობას შორის, იგი პირველს აირჩევს. ყოფილ ჩემპიონს დეპუტატობა შემთხვევით არ უხსენებია. საქმე ისაა, რომ ადრე მან თავისი კანდიდატურა უმაღლესი რადას დეპუტატობაზე "Пора-ПРП"-ის პარტიული ბლოკის სიით გაატარა რეგისტრაციაში. რადას არჩევნებიც მარტში ჩატარდება.

კითხვაზე, ოცნებობს თუ არა პრეზიდენტობაზე, ვიტალი პასუხობს: "ასე შორს არ წავსულვარ. ჩვენ გვყავს პრეზიდენტი და მიმაჩნია, რომ გვეყოლება ღირსეული პარლამენტი და პრემიერ-მინისტრი. მე კი ძალიან მინდა კიევის კარგი მერი გავხდე".

## ლემიე "პიტსბურგ პინგვინზს" ჰყიდის

ნაციონალური ჰოკეის ლიგის ბინადრის "პიტსბურგ პინგვინზის" კანადელმა მეპატრონემ მარიო ლემიემ და გუნდის პრეზიდენტმა კენ სოიერმა ხუთშაბათს განაცხადეს, რომ გუნდის გაყიდვის თაობაზე რამდენიმე წინადადებას განიხილავენ.

"ბოლო თვეების განმავლობაში კლუბის შესყიდვის რამდენიმე მსურველისგან წინადადებები მივიღეთ. მგონია, რომ თითოეული შემოთავაზების დაწვრილებით განხილვის შემდეგ არჩევანის გაკეთების დროც დადგა, - საქმესთან დაკავშირებით საუბრობს სოიერი, - იმედია, არავის უფიქრია ის, რომ ლემიე ყოველთვის "პინგვინზის" მეპატრონედ დარჩებოდა. მან ისედაც ბევრი გააკეთა. მერწმუნეთ, ვცდილობთ შევქმნათ ისეთი პირობები, რომელიც კლუბს პიტსბურგში დატოვებს".

"ასოშეიტედ პრესი" აღნიშნავს, რომ გუნდის შეძენის მსურველთა შორის ლემიე ყველაზე მეტად კომპანია Isle of Capri Casinos Inc.-ის წინადადებას მოუხიბლავს. კომპანია, რომელიც ფლობს კაზინოებისა და სათამაშო ავტომატების ქსელს, მზადაა კლუბის ახალი არენის ასაგებად 290 მილიონი დოლარი გაიღოს. შეთანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეისხამს ფრთებს, თუ ეს კომპანია პიტსბურგში სათამაშო ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო სალიცენზიო კონკურსს მოიგებს.

ფეხბურთი

# "დინამო" - ისევ "საცდელი კურდღლის" რანგში

მიხეილ აბაიშვილი



ცოტა ხანში "დინამოს" ანდრეი ჩერნიშოვი გაწვრთნის.

თბილისის "დინამოში" ისევ სერიოზული საკადრო ცვლილებებია. ვერც შემადგენლობის, ვერც ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, გუნდი ვერ ეღირსა სტაბილურობას. ბოლო სამი წლის განმავლობაში კი ერთი სეზონიც ვერ დაასრულა ისე, რომ ძირეულად არ შეცვლილიყო შემადგენლობაც, მწვრთნელთა კორპუსიც და ხელმძღვანელობაც.

ამჯერად გუნდი მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ დატოვა. უფრო სწორად, მას დაატოვებინეს ეს პოსტი. კლუბის ოფიციალური ვებგვერდიდან ვიტყობთ, რომ ცხადაძეს ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებია, რომ კლუბი მადლიერია იმ საჩემპიონო ტიტულის, რომელიც "დინამომ" ცხადაძის თავკაცობით გასულ სეზონში მოიპოვა. თუმცა, "საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატში პირველი წრის შემდეგ დაკავებული მეოთხე ადგილი და გუნდის დღევანდელი მდგომარეობა კლუბის ხელმძღვანელობის მიერ არადამაკმაყოფილებლად შეფასდა", - ასეა ახსნილი "დინამოს" ვებგვერდზე მთავარი მწვრთნელის გათავისუფლების ფაქტი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ცნება - "გათავისუფლება" ზუსტად ვერც ასახავს მომხდარს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცხადაძე ოფიციალურად არც დანიშნულა "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. დღემდე ის გუნდში უკონტრაქტოდ მუშაობდა.

ვებგვერდიდან იმასაც ვიგებთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ახალი მთავარი მწვრთნელის ძიებაშია და ამ მიზნით რამდენიმე უცხოელი მწვრთნელის კანდიდატურას განიხილავს. ესეც, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია, რადგან საქართველოში უკვე ჩამოყვანილია გაურკვეველი შესაძლებლობების და არცთუ კარგი რეპუტაციის მქონე რუსი მწვრთნელი ანდრეი ჩერნიშოვი, რომლის დანიშვნაც რამდენიმე დღის საქმეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი მწვრთნელის შერჩევისას "დინამოს" შეფებს მაინცდამაინც ტვინი არ უჭყლეტიათ და არც დიდი დრო დაუკარგავთ.

ჩერნიშოვს კი მის წინამორბედ ცხადაძესთან ბევრი რამ, ძირითადად, საფეხბურთო კარიერა აკავშირებს. ცხადაძე და ჩერნიშოვი ერთად თამაშობდნენ მოსკოვის "სპარტაკის" დაცვის ცენტრში, ასევე დსთ-ს ნაკრებში, რომელმაც 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა.

37 წლის ანდრეი ჩერნიშოვის სამწვრთნელო კარიერაზე ჯერ მხოლოდ კრიტიკულ კონტექსტში თუ შეიძლება საუბარი. იგი მშობლიურ კლუბში, მოსკოვის "სპარტაკში" მუშაობდა მთავარ მწვრთნელად, მაგრამ ამ პოსტზე სულ თვენახევარი დაჰყო - მკვეთრად უარყოფითი შედეგების გამო დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ჩერნიშოვს რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ახალგაზრდული ნაკრებიც ანდო, მაგრამ აქაც ჩავარდნა - გუნდმა საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ გადალახა და მწვრთნელიც ისევ უსაქმოდ დარჩა.

და აი, რუსი მწვრთნელი უკვე თბილისშია და მას "დინამოს" ხელმძღვანელობა დღე-დღეზე ოფიციალურად წარმოგვიდგენს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მორიგ ექსპერიმენტს ვადევნოთ თვალი.

და კიდევ: როგორც შევიტყვე, უახლოეს დღეებში პრესკონფერენციას გამართავს "დინამოს" ყოფილი მწვრთნელი კახა ცხადაძე და ყველა საკითხზე ისაუბრებს.

ჩოგბურთი

# უილიამსების თამაში დამთავრდა



სერენა წელში გატეხეს

მელბურნის კორტებს დაემშვიდობა უილიამსების ოჯახის უმცროსი წარმომადგენელი - სერენა. ტურნირის მე-13 ნომერმა ორ სეტში დაუთმო გამარჯვება სლოვაკ დანიელა ჰანტუჩოვას. ამერიკელს აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც წესრიგში არა აქვს. ეს ალბათ მუხლის ქრონიკული ტრავმაა, რომელიც სერენა უილიამსს კარიერის დასაწყისიდან აწუხებს და რომელმაც ჩოგბურთელს მელბურნში თვითრეალიზების საშუალება არ მისცა.

სერენას დებიუტიდანვე არც უძლიერესი მოწოდებები გამოსდიოდა (მის ანგარიშზე მხოლოდ 4 ეისია. ჰანტუჩოვამ კი 9 ეისი მიითვალა) და შეცდომაც მრავლად ჰქონდა. მან 37 უნებლიე შეცდომა დაუშვა და მათი უმრავლესობა პირველ სეტში, რომელიც გამანადგურებელი ანგარიშით - 1:6 დათმო. ამერიკელმა მეორე სეტში სცადა მდგომარეობის გამოსწორება. ბოლომდე თანაბრად ეთამაშა გაკადნიერებულ სლოვაკს, მაგრამ ტაი-ბრეიკზე ისევ უნებლიე შეცდომებმა დაამუხრუჭეს უმცროსი უილიამსის ამბიციები. ჰანტუჩოვამ - 7:5 მოიგო ტაი-ბრეიკი და მომდევნო წრეში გავიდა.

საინტერესო და დრამატული გამოდგა ფრანგი ფაბრის სანტოროსა და არგენტინელი გასტონ გაუდიოს შეხვედრა. გაუდიო ტურნირის მე-8 ნომერი იყო და ბუნებრივია, მატჩის ფავორიტადაც ითვლებოდა. არგენტინელი მეტად ტექნიკური ჩოგბურთელია და ცდილობს სწორი პოზიციის შერჩევითა და ზუსტი დარტყმებით დაამარცხოს მეტოქე. თუმცა გაუდიოს მატჩის დებიუტში აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა.

ფრანგმა მეტოქეს თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზა. ის ძლიერ, ზუსტ დარტყმებს ასრულებდა და მეტოქეს აიძულებდა კორტის ერთი ბოლოდან მეორეში ერბინა. მან გაუდიოს ერთი მოწოდება აართვა და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. მატჩის სცენარი არც მეორე სეტში შეცვლილა. გაუდიო შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. სანტორო კი ამ შეცდომებს ზედმიწევნით ზუსტად იყენებდა და მეტოქის ორი მოწოდებაც მიითვალა. 6:2 - ასეთია მეორე სეტის ანგარიში.

არგენტინელი მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდა. მძიმე ბრძოლაში მესამე სეტი მოიგო. მეოთხეში კი შანსი არ დაუტოვა სანტოროს და გადამწყვეტი სეტისთვის ფსიქოლოგიურად მომზადებული აღმოჩნდა. თუმცა კვლავ უნებლიე შეცდომებმა იჩინა თავი და შეიწირა კიდეც გაუდიოს ამბიციები. 6:4 ფაბრის სანტოროს სასარგებლოდ და არგენტინელი გაუდიო გათამაშებას დაემშვიდობა. გაუდიომ 37 უნებლიე და 3 ორმაგი შეცდომა დაუშვა. ამასთან, მან მხოლოდ ერთი ეისი მოაწოდა, როცა სანტოროს ანგარიშზე 9 ეისია.

მეოთხე წრეში ფაბრის სანტორო ესპანელ დავიდ ფერერს შეხვდება, რომელმაც იოლად, სამ სეტში - 6:3, 6:3, 6:3 დაამარცხა ხორვატი მარიო ანჩიჩი.

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| ენდი როდიკი (აშშ, 2) - ჟულიენ ბენეტი (საფრანგეთი) | 6:1, 6:2, 6:2 |
| ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - გასტონ გაუდიო (არგენტინა, 8) | 6:3, 6:2, 5:7, 1:6, 6:4 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 4) - იარკო ნიემინენი (ფინეთი, 26) | 2:6, 6:3, 6:2, 7:5 |
| ტომას იოჰანსონი (შვედეთი, 10) - ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 6:3, 6:2, 6:1 |
| დავიდ ფერერი (ესპანეთი, 11) - მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 18) | 6:3, 6:3, 6:3 |
| მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) - დენის გრემელმაიერი (გერმანია) | 6:2, 6:1, 6:2 |
| ტომი რობრედო (ესპანეთი, 16) - ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 20) | 6:3, 6:4, 6:4 |
| ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 7) - ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 31) | 7:5, 7:6, 6:0 |
| **ქალები:** | |
| დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი, 17) - სერენა უილიამსი (აშშ, 13) | 6:1, 7:6 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 8) - ვირჯინია რაზანო (საფრანგეთი) | 6:4, 6:1 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) - ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) | 6:0, 6:1 |
| ელენა ვესნინა (რუსეთი) - ოლგა სავჩუკი (უკრაინა) | 5:7, 6:2, 6:4 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 6) - მარია ელენა კამერინი (იტალია) | 6:1, 6:2 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 14) - მარა სანტანჯელო (იტალია) | 6:2, 6:1 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) - მარია კირილენკო (რუსეთი, 25) | 6:4, 4:6, 6:2 |
| ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) - ლორა გრენვილი (აშშ) | 6:3, 6:3 |

სათხილამურო სპორტი

# "ჰერმინატორმა" თხილამურები კაცურად მოირგო

გიგა გურასაშვილი



მაიერმა ავსტრიული ეტაპი არავის დაუთმო

სეზონის დასაწყისში ჰერმან მაიერს აღჭურვილობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა. ალბათ ამიტომ დიდი შედეგებით არ გამოირჩეოდა.

"ვგრძნობ, გამარჯვების შანსი მაქვს, რადგან აღჭურვილობასთან დაკავშირებული პრობლემები მოვაგვარე", - კიცბიუელის ტრასებზე გასვლამდე აცხადებდა მაიერი.

მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპის მასპინძელი ტრასა "შტრეიფი", რომელიც 2280 მეტრზე გაჭიმული, იმით არის განსაკუთრებული, რომ სიჩქარის განვითარების საშუალებას არ იძლევა და სტარტიდან ფინიშამდე მოთხილამურეთაგან სრულ მობილიზებას ითხოვს.

მაიერის დახასიათებით, შტრეიფზე მოთხილამურეებს ზღვარზე სრიალი უწევთ, დამცავ ბადესთან სანტიმეტრები აშორებთ. აქ სრული სიჩქარით არასდროს მისრიალიაო, - ამბობს მაიერი.

ახლაც ასე იყო. მაიერმა საუკეთესო დროში გადაკვეთა ფინიშის ხაზი და გამარჯვებულის კვარცხლბეკზეც შედგა.

ავსტრიელთა დიდი კონკურენციის მიუხედავად, მეორე ადგილზე გასვლა მაინც მოახერხა იტალიელმა პეტერ ფილმა. მესამეზე მაიერის თანამემამულე ჰანს რეიხელტი გავიდა.

რაც შეეხებათ ამერიკელებს, რომლებიც ბოდე მილერისა და დარონ რალვზის წყალობით ევროპლებისთვის საშიშ მეტოქეებად ითვლებიან, მათ თანამემამულე გულშემატკივრებს იმედი გაუცრუეს. მილერი პირველივე დაშვებისას ჩაფლავდა, რალვზმა კი ორივე დაშვების ჯამში მეექვსე ადგილი დაიკავა.

სხვათა შორის, ორი წლის წინათ რალვზი გახდა პირველი არაავსტრიელი მოთხილამურე, რომელმაც სუპერგიგანტი მოიგო, ამასთან, მაიერთან 0,03-წამიანი უპირატესობით.

რაც შეეხებათ ქალებს, რომლებმაც შვეიცარიაში გაითამაშეს სუპერგიგანტის მეხუთე ეტაპი, გამარჯვება აქაც ავსტრიელს დარჩა - მიხაელა დორფმაისტერმა კარიერის 23-ე გამარჯვება მოიპოვა.

მსოფლიო თასის ჩემპიონი, 32 წლის დროფმაისტერი წლეულს კარიერას ამთავრებს.

სლოვენიელმა ტინა მაცემ, რომლიც გუშინ 0.40 მეასედით აცდა სუპერგიგანტში პირველ გამარჯვებას, მეორე შედეგით დაასრულა რბოლა. მესამე ადგილზე დორფმაისტერის თანამემამულე 22 წლის ნიკოლ ჰოსპია, რომელიც მსოფლიო თასის ჩქაროსნულ დისციპლინაში პირველად ავიდა კვარცხლბეკზე.

**კიცბიუელი, ავსტრია**
**სუპერგიგანტი**
**მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპი**
**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ჰერმან მაიერი | 1:22.97 |
| პეტერ ფილი | 1:23.02 |
| ჰანს რეიხელტი | 1:23.25 |

**სენტ მორიცი, შვეიცარია**
**სუპერგიგანტი**
**მსოფლიო თასის მეხუთე ეტაპი**
**ქალები:**

| | |
|---|---|
| მიხაელა დორფმაისტერი | 1:17.20 |
| ტინა მაცე | 1:17.60 |
| ნიკოლ ჰოსპი | 1:17.76 |


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ტენდერს სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი | მომსახურების დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| N 1 | ჯანმრთელობის დაზღვევა | ადამიანი | 15 000 |

მიწოდების ადგილი - მხარეთა შეთანხმებით.

3. მიწოდების სასურველი ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 13 და 14 თებერვალს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის :

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) საქმიანობის განხორციელების ლიცენზიას.

დ) ინფორმაცია ხელმძღვანელი პირებისა და მათი გამოცდილების შესახებ.

ე) ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ვ) ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობისა და ანაზღაურებული თანხების შესახებ.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51, 893-24-32-24

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# კიდევ ერთხელ უსათაურო გამოფენაზე

სოფო კილასონია

რამდენიმე დღის წინ TMS გალერეაში ნინო ლაბარტყავას პერსონალური გამოფენა გაიხსნა. კიდევ ერთი უსათაურო პერსონალური გამოფენა... ასეთ შემთხვევებში მთავარ როლში ძირითადად ნამუშევრების ავტორი ექცევა ხოლმე და მხოლოდ შემდეგ მისი ნამუშევრები. მით უფრო მაშინ, როცა ექსპოზიციაში მონაწილე ობიექტებს ერთმანეთთან იდეით ვერ ვაკავშირებთ, ამოცანების ამოხსნას თავად მხატვართან ერთად ვიწყებთ ხოლმე. მაგრამ როცა ავტორსაც ვერ ვხვდებით, საქმე რთულდება, მომავალი სტატიის პერსონებს უკვე კედლებზე დაკიდულ ნახატებში ვეძებთ.

პერსონაჟი ბევრია: ავტორის მეგობრები, ძველთბილისურ რომანტიკაში გახვეული სახეები, ოცნებები, ოდნავ, მაგრამ მაინც სიურეალისტური მხატვრული აზრები და მზესუმზირები, ოღონდ არა ლარნაკში, არამედ ღია ცის ქვეშ, ცხელი მზის მცხუნვარე შუქით განათებული და ამ სითბოში შიშველი და უფ-



ერული სხეულებით დამშვენებული.

ნინო ლაბარტყავას ნამუშევრები, ყველა, როგორც ერთი, კონტრასტებზეა აგებული. იქნება ეს მკვეთრი, ხალისიანი თუ მუქი ფერების, თუ მხატვრული ტექნიკური ხერხების კონტრასტები. ალბათ ამიტომ ხან გუაშით, ხან აკვარელით, ხან ტუშით დახატული ნახატები ზოგან აპლიკაციებს ჰგავს და ზოგან - კოლაჟს.

გამოფენა 24 იანვრამდე გაგრძელდება. ასე რომ, სხვადასხვაგვარი მხატვრული ხერხების მანევრებით გატაცებული მხატვრის ნამუშევრების ხილვის საშუალება დაინტერესებულ საზოგადოებას კიდევ აქვს. სანამ TMS გალერეა კიდევ ერთ უსათაურო ექსპოზიციას გამოფენს, სანამ კიდევ ერთი ახალი პერსონაჟის პრეზენტაციაზე დაგვიძახებს, რუსთაველზე გამვლელი ადამიანები, როგორც ყოველთვის, მეტ-ნაკლები ინტერესითა და ენთუზიაზმით გადაავლებენ თვალს უკვე არსებულს და, თუ ვერ შეაფასებენ, სათაურს მაინც მოუგონებენ. ისე, უბრალოდ, თავისთვის.

# ტრიშამ დრო გააჩერა

სოფო კილასონია

თანამედროვე სასცენო ხელოვნების მეტრები უკვე დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ ამერიკელი ქორეოგრაფი ქალბატონი ტრიშა ბრაუნი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქორეოგრაფიაში ნამდვილად დიდი ფიგურაა. იმის მიუხედავად, რომ იგი უკვე 70 წლისაა, მაინც არ წყვეტს მხატვრულ ძიებებს და, ისე როგორც არასდროს, დღეს მუსიკას უთმობს ყველაზე დიდ ადგილს. საკუთარ საიუბილეო თარიღს ქორეოგრაფმა ევროპული ტურნე დაურთო, რომელიც გუშინ საღამოს პარიზის პალე გარნიეში დაიწყო და, სავარაუდოდ, ლუქსემბურგში, 11 თებერვალს დასრულდება. სამოცდამეათე დაბადების დღის გარდა, ტრიშა ბრაუნი საკუთარი საბალეტო კომპანიის შექმნიდან 35 წლისთავსაც აღნიშნავს.

მუსიკა არ ყოფილა მისი ხელოვნებისთვის მთავარი შთაგონების წყარო. მრავალწლოვანი მოღვაწეობის პერიოდში იგი სხვადასხვა ხერხით ცდილობდა ცეკვაში თავისუფლებისთვის მიეღწია. სტეპიდან დაწყებული, შედარებით ტრადიციული მეთოდების მოშველიებით, თანდათან რადიკალურ მოქმედებამდე მივიდა და გარკვეული პერიოდი ფიზიკის კანონებს ქორეოგრაფიით ერკინებოდა. ამ თვალსაზრისით საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ აიყვანა ერთ მშვენიერ დღეს მოცეკვავეები ნიუ იორკის სახურავებზე და შემდეგ ძაფებშემოხვეულები როგორ გადმოაფრინა იქიდან. და ეს გააკეთა მხოლოდ იმიტომ, რომ მიზიდულობის ძალისგან ერთგვარი "გამოწვევა მიეღო".



ტრიშა ბრაუნი მთელი 35 წლის მანძილზე სხეულის სტრუქტურაზე, მის შესაძლებლობებსა და ადამიანისა და სივრცის ურთიერთობაზე ფიქრობდა, საკუთარ მოსაზრებებს კი სცენაზე შლიდა. დღეს, როცა მისი კარიერა დასასრულს უახლოვდება, იგი სწორედ იმას მიუბრუნდა, რისგან გაქცევასაც ლამობდა. მუსიკას, მელოდიის ესთეტიკას, რაც, ბუნებრივია, ბევრად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ქორეოგრაფიის მეორე პლანზე გადასვლის მაუწყებელია. მაგრამ ტრიშა ბრაუნი, მუდამ ეფექტებისა აღმოჩენების მაძიებელი, სავარაუდოდ, ამ ეტაპზეც მოიფიქრებს იმას, რითიც ისევ ახალგაზრდა დარჩება, რადგან ახალგაზრდობა მისთვის დიდი ხანია მანერად იქცა. დრომ კი ტემპი შეანელა...

ფიქრები 98.0 FM

# ეკა და სამშვიდობო გეგმა

**ეკა კვესიტაძე**: დღევანდელი "დიალოგების" სტუმარია გიორგი ხაინდრავა. თემა კი - დღეს გადადებული შერეული კომისიის საკონტროლო სხდომა და სამშვიდობო გეგმა, რომელსაც ვერაფრით ეთანხმება რუსეთის მხარე და სათანადოდ - ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლება.

**გიორგი ხაინდრავა**: სხდომის გადადება არის აშკარა ხელის შეშლა პრობლემების მოგვარების პროცესისთვის. სხდომის გადადების ოფიციალური მიზეზი არის რიგითობა - ახლა ვლადიკავკაზის რიგი დადგა. გარკვეულწილად ეს ფაქტორი რეალურია, მაგრამ, როგორც წესი, ის ირღვევა ხოლმე. ჩემი აზრით, მთავარი პრინციპი უნდა იყოს მიზანშეწონილობა და არა რიგითობა. ახლა დაიწყო პაექრობა იმაზე, თუ სად გაიმართება შერეული კომისიის საკონტროლო სხდომა.

**ეკა კვესიტაძე**: რა უნდა იყოს ამ სხდომის გადადების რეალური მიზეზი?

**გიორგი ხაინდრავა**: ჩვენი ოპონენტების ბოლო პერიოდის განცხადებები ნათლად მიუთითებს, თუ რა შეიძლება იყოს რეალური მიზეზი. ჯერ კიდევ მოსკოვში, შერეული საკონტროლო კომისიის დაწყებამდე, მობრძანდა ბატონი ლოშინინი, რომელიც იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო. მან განაცხადა, თითქოს არანაირი სამშვიდობო გეგმა არ არსებობს და უნდა შედგეს ჯგუფი, რომელიც მას შეიმუშავებს.

**ეკა კვესიტაძე**: თუ იცოდა, რომ ასეთი სამშვიდობო გეგმა არსებობს და ის მოიწონა ყველა მხარემ, მაშინ რას ნიშნავს მისი განცხადება?

**გიორგი ხაინდრავა**: ეს ნიშნავს იმ ორმაგ თამაშს, რომელსაც რუსი კოლეგები ჩვენ გვეთამაშებიან. ისინი ეთანხმებიან შეთანხმებებს და, ამავდროულად, ჩვენთან პირისპირ დარჩენილები, ყველანაირად ცდილობენ, ამ შეთანხმებებს ხელი შეუშალონ. თუნდაც სტამბულის შეთანხმება გავიხსენოთ. ჩვენ დიდხანს ვერ მოვახერხეთ იმ შეთანხმების დაწყება (ვგულისხმობ სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხს). იგივე შემიძლია გითხრათ ბატონ კარასინის განცხადებაზე, როცა ის ამბობს, რომ რუსეთის მხარეს ქართული სამშვიდობო გეგმისთვის არასოდეს დაუჭერია მხარი.

**ეკა კვესიტაძე**: თუმცა ლავროვმა ეუთოს შეხვედრაზე მხარი დაუჭირა ქართულ სამშვიდობო გეგმას...

**გიორგი ხაინდრავა**: დიახ, თანაც ცალსახად. მაგრამ როცა დგება საკითხი, რომ აუცილებელია თანამშრომლობა ამ გეგმის კონკრეტული საკითხების განსახორციელებლად, საქმე რთულდება. მინდა ვთქვა, რომ კოკოითის გამოხმაურება ჩვენი სამშვიდობო გეგმის მიმართ, რომელიც პრაქტიკულად მსოფლიოში მიღებული სქემის იდენტურია, სრულიად ალოგიკურია.

**ეკა კვესიტაძე**: მაშინ რატომ ამბობენ რუსები, რომ უნდა შეიქმნას სხვა გეგმა? თუ ორივე მხარე შეთანხმდა იმაზე, რომ მთავარი პუნქტები უნდა იყოს დემილიტარიზაცია, სამშვიდობოებისადმი ნდობის აღდგენა, ასევე ეკონომიკური რეაბილიტაცია, რას გულისხმობენ რუსი ჩინოვნიკები, როცა ახალი სამშვიდობო გეგმის შემუშავებაზე საუბრობენ?

**გიორგი ხაინდრავა**: დიდი ეჭვი მაქვს, რომ ცდილობენ ამ გეგმის ჩაგდებას, დროში გაწელვას, რაც მათ მისცემს იმის თქმის საშუალებას, რომ გეგმა არ ხორციელდება, რომ ის ცალმხრივი იყო. ეს ყველაფერი, ბევრად უფრო ზუსტად, მეც მაინტერესებს. ამიტომაც ვამბობ, რომ აქ ლოგიკა არ არის. ისინი მთლიანად არიან აწყობილი რუსეთზე, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას არ იღებენ. მთავარი, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, არის დემილიტარიზაცია და ეკონომიკური რეაბილიტაცია. რჩება მესამე ეტაპი - საკითხის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარება. არც ერთი პუნქტი, მით უფრო, ეს უკანასკნელი, ორმხრივი თანამშრომლობის გარეშე არ მოგვარდება.

**ეკა კვესიტაძე**: მას შემდეგ, რაც კოკოითმა თანხმობა განაცხადა წარდგენილ სამშვიდობო გეგმაზე, არის თუ არა რაიმე პროგრესი?

**გიორგი ხაინდრავა**: არა. თუმცა, იმედი, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას გაუჩნდა, რომ რეალური ძვრები დაიწყებოდა პრობლემის მოგვარების გზაზე, მაინც არსებობს და ეს იმედი რეალურია, რადგან ის ემყარება საერთაშორისო სამართალს და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას.

**ეკა კვესიტაძე**: მაგრამ, განა შეიძლება სამშვიდობო გეგმა ცალმხრივად განხორციელდეს?

**გიორგი ხაინდრავა**: ცალმხრივად შეუძლებელია, მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენთვის ძირითადი პრობლემაა რუსეთის პოზიცია. თუ რუსეთი ამ პოზიციას შეიცვლის, გეგმის განხორციელებას წინ აღარაფერი დაუდგება.

## მოკლედ

### "აეროსმიტი" დასასრულისკენ მიდის

ამერიკული როკ-ჯგუფის "აეროსმიტის" წევრებმა განაცხადეს, რომ მალე მათი საკონცერტო მოღვაწეობა წარსულს ჩაბარდება. "ჩვენ უკვდავები არ ვართ, ყველაფერს თავისი დრო აქვს", - აცხადებს ჯგუფის ვოკალისტი სტივენ ტაილერი. გასულ წელს ჯგუფმა ამერიკის მასშტაბით ტურნე მოაწყო, რომელშიც ლენი კრავიციც იღებდა მონაწილეობას. "როცა ახალგაზრდა ხარ, ყველაფერს სხვანაირად უყურებ, გგონია, რომ ყოველთვის ასე იქნები და ბევრ რამეს ყურადღებას არ აქცევ, მაგრამ ასაკში რომ შედიხარ, ბევრი რამ იცვლება. მიკვირს, რომ დღეს კიდევ გვაქვს ჯგუფი და ვუკრავთ. მიკვირს, რომ ისევ გვაქვს ამის ენერგია, თუმცა, ყველაფერს დასასრული აქვს", - ამბობს გიტარისტი ჯო პერი. "აეროსმიტი" 1973 წელს ხუთმა ბოსტონელმა ახალგაზრდამ შექმნა და უკვე 33 წელია ჯგუფი აქტიურად მოღვაწეობს როკ-სამყაროში. მათ ყველა თაობის მსმენელი ჰყავთ. ჯგუფის წევრებთან წარსულში არაერთი სკანდალი იყო დაკავშირებული, ძირითადად ნარკოტიკების პრობლემებზე. თუმცა ისინი გაიზარდნენ, ყველა მათგანს ოჯახი ჰყავს და ნორმალურ ცხოვრებას ეწევა. როგორც ჩანს, მართლაც ყველაფერს აქვს დასასრული.




პაულო კოელიოს სვეტი



# მშვილდი, ისარი და სამიზნე

ჩვენ ყველანი ღვთიური ნების მშვილდოსნები ვართ. ამიტომ უბრალოდ, ვალდებულნი ვართ, ვიცოდეთ, რა იარაღი გვაქვს ხელთ ღვთიური ომების საწარმოებლად.

### მშვილდი

მშვილდი თვითონ ცხოვრებაა: მთელი ენერგია მისგან მოდის. ისარი ერთ მშვენიერ დღეს გაგვიფრინდება. სამიზნე კი ისედაც შორს არის. სამაგიეროდ, განსაკარგავად დაგრჩება ცხოვრება და შენ უნდა იცოდე, როგორ განვლო ის.

ხანდახან მშვილდი უნდა მოდუნდეს, რადგან მუდმივად დაძაბული და მუდმივად საბრძოლოდ შემართული იარაღი ძალას კარგავს. ასე რომ, იცოდეთ დასვენებაც, რათა აღიდგინოთ ენერგია: და როცა ენერგიას აღიდგენთ, გამოსწევთ მშვილდს და ის საუცხოო ფორმაში დაგხვდებათ.

მშვილდს არა აქვს საკუთარი სინდისი: ის მშვილდოსნის მარჯვენისა და სურვილის გაგრძელებაა მხოლოდ. ის ან კლავს, ან კურნავს. ასე რომ, ყოველთვის ნათლად ჩამოაყალიბეთ საწადელი.

მშვილდი დრეკადია, მაგრამ საზღვრებიც გააჩნია. თუ ძალას დაატან, გატეხავ, ან ტყუილუბრალოდ დაიღლი ხელს. ისიც გაითვალისწინე, რომ ერთ მშვენიერ დღეს სიბერეც მოვა - და ეს წყალობა იქნება და არა წყევლა.

მშვილდი რომ მუდამ დახვეწილად გაისროლო, თითოეული ნაწილის დაბალანსება უნდა შეძლო, ტყუილუბრალოდ ძალისხმევა არ უნდა დახარჯო. თუ ასე გააგრძელებ, უამრავ ისარს გაისვრი და არც დაღლას იგრძნობ.

### ისარი

ისარი შენი ჩანაფიქრია. ის დამაკავშირებელი ძაფია მშვილდის ძალასა და მიზნის ცენტრს შორის. ამიტომ შენი ჩანაფიქრი დღესავით ნათელი, ბროლივით გამჭვირვალე უნდა იყოს, პირდაპირ მიმართული და რაციონალურად გააზრებულ-გაწონასწორებული.

როცა ისარი მშვილდს მოსწყდება, უკან აღარ დაგიბრუნდება. ასე რომ, უმჯობესია ჩაერიო პროცესში (რადგან მოძრაობა, რომელმაც ამ პროცესამდე მიგვიყვანა, არ იყო ზუსტი და სწორად გათვლილი), ვიდრე იმოქმედო კარგად გატკეპნილი გზით და ისარი გაისროლო მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მშვილდი გამართული იყო, მიზანი კი ისარს ელოდებოდა.

თუმცა, არც ის დაგავიწყდეს, რომ აუცილებელია ქმედება, აუცილებელია ისრის გასროლა, თუ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ყოვნდები, მიზნის აცდენის შიშია. გამოიმუშავე ზუსტი მოძრაობები, მომართე მშვილდი და სხეული და თვალი მტკიცედ გაუსწორე სამიზნეს. არ ინერვიულო, თუ მიზანს აცდი, სამაგიეროდ, გეცოდინება, რომ მის დასაპყრობად ყველაფერი გააკეთე და მომავალში შედეგს აუცილებლად გააუმჯობესებ.

თუ არ გარისკავ, ვერასოდეს მიხვდები, რომელი გზა იყო უკეთესი, რა ცვლილებები იყო განსახორციელებელი.

### სამიზნე

სამიზნე მისაღწევი წერტილია. ის თვითონ აირჩიე. მისგან მოდის მთელი შენი გზის მშვენება: ვერასდროს გადააბრალებ სხვას დანაშაულს, ვერ იტყვი, რომ მეტოქემ გძლია. ამას ვერასდროს გააკეთებ იმიტომ, რომ მიზანი თვითონ აირჩიე და პასუხსაც მის გამო თვითონ აგებ.

თუ სამიზნეს ისე განიხილავ, როგორც მტერს, შეიძლება კარგადაც ისროლო, მაგრამ საკუთარ თავში ვერაფრის გამოსწორებას ვერ მოახერხებ. მთელ ცხოვრებას მონოტონურ ქმედებებში გაატარებ: ყოველ ახალ ჯერზე ეცდები ისარი ხის ან მუყაოსგან დამზადებული სამიზნის შუაგულში მოახვედრო - მარტივად ამის კეთება კი, ყველამ ვიცით, არაფრის მომტანია. და მერე, როცა საინტერესო საზოგადოებაში მოხვდები, მუდამ იწუწუნებ, რომ შენი ცხოვრება მდორედ და უინტერესოდ მიდის.

ამიტომ უნდა აირჩიო მიზანი ზუსტად, უნდა დაიხარჯო ბოლომდე, თავი ღირსეულად გეჭიროს. ზუსტად უნდა გათვალო, რამდენად ძვირფასია მიზანი შენთვის და რამდენი ენერგია და ძალისხმევა გჭირდება მის მისაღწევად.

როცა მიზანს აკვირდები, მხოლოდ მასზე ნუ მოახდენ კონცენტრირებას. დააკვირდი ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება: რადგან როცა ისარი მშვილდს მოსწყდება, ის შეეჯახება გზად შემხვედრ ფაქტორებს, ისეთებს, როგორებიცაა ქარი, წონა და სივრცე.

ერთიც გახსოვდეს: მიზანი არსებობს მხოლოდ იმ დონემდე, რა დონემდეც ადამიანს მასზე ოცნება შეუძლია. რაც მიზნის არსებობას ამართლებს - ადამიანის სურვილია. ამ სურვილის გარეშე მიზანი მოკვდება, ფუჭ ოცნებას დაემსგავსება, რომელსაც ახდენა არ უწერია; დაემსგავსება იმ ნაუცბათევ სიზმარს, შუადღის ძილის დროს რომ დაგესიზმრება და ორ წუთში აღარ გახსოვს.

ასე რომ, როგორც ჩანაფიქრი ეძებს მიზანს, მიზანიც, თავის მხრივ, ეძებს ჩანაფიქრს, რადგან სწორედ ეს ჩანაფიქრი ასხამს მას ხორცს: ჩანაფიქრთან ერთად მიზანი არა უბრალოდ იდეაა, არამედ მშვილდოსნის სამყაროს ცენტრი.

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 17 იანვრის გაზეთში გამოქვეყნებული ტენდერის შესახებ განცხადების შესწორება

2006 წლის 17 იანვარს შპს საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოქვებული იქნა სატენდერო განცხადება სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ.

განცხადებაში მითითებული 2 და 3 თებერვლის ნაცვლად სატენდერო წინადადებისა და დოკუმენტაციის მიღება მოხდება 6 და 7 თებერვალს $9^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე.

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 17 იანვრის გაზეთში გამოქვეყნებული ტენდერის შესახებ განცხადების შესწორება:

2006 წლის 17 იანვარს შპს საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოქვებული იქნა სატენდერო განცხადება ვაგონების მოდერნიზაციის მომსახურების შესყიდვის შესახებ.

განცხადებაში მითითებილი ქართული ენის გარდა, პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო წინადადები და დოკუმენტაცია წარმოადგინონ რუსულ ენაზეც.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# უნდათ და ვამღეროთ "თბილისო"





საახალწლო დღეებში გაზეთი "24 საათი" ისვენებდა და სწორედ ამ მიზეზით ახალი წლის ღამეს ნანახი სატელევიზიო საზეიმო გადაცემების შესახებ ჩემი აზრი გულახდილად ვერ გაგიზიარეთ. არადა, ძალიან მინდოდა! საახალწლო ტელეთემას არც ახლა ვაპირებ დავუბრუნდე, მგონია, რომ უკვე დაგვიანებულია. მაგრამ ერთ საახალწლო კონცერტს, რომელიც ამ დღეებში განმეორებით იყო ტრანსლირებული, ეს წერილი მაინც მინდა დავუთმო.

დავიწყებ იქიდან, რომ ახალი წლის ღამეს ტელევიზორს ერთი არხიდან მეორეზე ვრთავდი. ალბათ იმიტომ, რომ არც ერთმა პროგრამამ ჩემი ინტერესი, მოწონება არ გამოიწვია. სულ იმედი მქონდა, რომ სადმე რამე უკეთესს დავიჭერდი, მაგრამ ამაოდ. ყველაფერს კიდევ ჩვენი პოლიტიკოსებისა და მომღერლების დუეტები სჯობდა. მაინც საინტერესოა, ძლიერნი ამა ქვეყნისა სცენაზე რისი მაქნისები არიან. უნდა ვაღიაროთ, რომ არტისტიზმით, პლასტიკით, რიტმის გრძნობით და რაც მთავარია, იუმორით, ყველას ისევ და ისევ კახა ბენდუქიძე სჯობდა. აი, კირკიტაძეს კი ვურჩევდი, რომ გმირისა და დეპუტატის წოდებით დაკმაყოფილდეს და რეპმენობას მოეშვას. არც იფიქროს! მაინც არაფერი გამოუვა. თუმცა, ხომ ნათქვამია - попытка не пытка, ხოდა ერთხელ კირკიტაძემაც გმირულად სცადა და მეტი აღარ უნდა. კახა ლომაია რომ მღეროდა, გაგონილი მქონდა, მაგრამ ახალი წლის ღამეს დავრწმუნდი, რომ იგი არა მხოლოდ რეფორმების გატარებაში, არამედ სიმღერაშიც ყველაზე წარმატებული მინისტრია. კულტურის მინისტრისა და მისი ბავშვობის მეგობრის ნიაზ დიასამიძის დუეტიც, მგონია, რომ ძალიან სასიამოვნოდ ჟღერდა. დანარჩენების გამოსვლები ან არ მახსენდება, ან ამდენ გადართვა-გადმორთვაში, უბრალოდ, გამომრჩა. НТВ-ზე პარალელურად ალა პუგაჩოვას მიერ განახლებული "Песня Года" მიმდინარეობდა და მიუხედავად იმისა, რომ კონცერტის პროგრამა, როგორც ეს პუგაჩოვას სჩვევია, რუსული ესტრადის ამომავალი და უკვე დიდი ხანია ამოსული ვარსკვლავებით იყო დაკომპლექტებული, უნდა გამოგიტყდეთ, რომ, ჩემი აზრით, რუსულ ესტრადასთან შედარებით ჩვენი ქართული შოუბიზნესი ფაქტობრივად სულ ბარბარა სტრეიზანდებისგან და სტინგებისგან შედგება. ამდენი უნიჭო, უგემოვნო, ვულგარული, მდაბიო, სახედაქაჩული, ტუჩებდაბერილი, მკერდაფუებული, თმაგადამწვარი "ვარსკვლავი" კიტჩი მხოლოდ დღევანდელ რუსულ ესტრადაში თუ მოიძებნება. მაგრამ "Песня Года"-ს თავისთავად არცთუ საუკეთესო კონცერტში რამდენიმე სასიამოვნო გამონაკლისიც იყო, რომლებზედაც თქვენი ყურადღების გამახვილება სხვადასხვა კუთხით მინდა.

კონცერტის ბოლოსკენ ბუბა კიკაბიძემ, ნანი ბრეგვაძემ, თამრიკო გვერდწითელმა და ვალერი მელაძემ (ბოლო ორის თაყვანისმცემელი კატეგორიულად არ ვარ) ოთხ ხმაში "თბილისო" შეასრულეს და ხელოვნების, კულტურის წარმოუდგენელ სიძლიერესა და მნიშვნელობაში კიდევ ერთხელ დამარწმუნეს. ვერანაირი პოლიტიკა, პოლიტიკოსი იმას ვერ მოახერხებდა, რაც ამ ერთმა სიმღერა-შედევრმა და ოთხმა ქართველმა მომღერალმა შეძლეს. მთელი დარბაზი და მათ მიღმა თითქოს მთელი რუსეთი, რთული პოლიტიკური ურთიერთობის ფონზე, საქართველოს დედაქალაქს ერთხმად, მონდომებულად, სიყვარულით უმღეროდა და თვითონ ვერ აცნობიერებდა, რომ მუსიკის სილამაზის ექსტაზში საქართველოს ოდას უძღვნიდა.



არანაკლებ საინტერესო, სასიამოვნო და ჩემთვის პირადად აუხსნელი ფენომენი ის არის, რომ რუსებმა ბევრი ქართული სიმღერა, ფაქტობრივად, ზეპირად იციან. არა მგონია, რომ საქართველოში ისეთი დარბაზი შეიკრიბოს, რომელსაც, მაგალითად, "Волга" ან რომელიმე სხვა ცნობილი რუსული სიმღერა ან ასე უყვარდეს, ან ასე კარგად იცოდეს, ან ასე გულწრფელად უნდოდეს მისი მონდომებულად შესრულება.

ამავე კონცერტის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რომ ახალგაზრდა ქართველი მომღერლის ქეთა თოფურიას მიერ შესრულებული სიმღერა "песня года"-დ აღიარეს, ბუბა კიკაბიძეს და ნანი ბრეგვაძეს კი Легенда-ს წოდებები მიანიჭეს. დამეთანხმეთ, სასიამოვნოა!

კონცერტის მრავალფეროვნების მიუხედავად, ქართველი შემსრულებლები როგორც შესრულების ხარისხით, ისე რაოდენობით აშკარად გამოირჩეოდნენ. მაშინ, როდესაც სცენაზე ათამდე ქართველი, რუსებისთვის ერთი მეორეზე უფრო საყვარელი მომღერალი თუ კომპოზიტორი გამოდიოდა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ფაქტობრივად არც ერთი წარმომადგენელი არ მონაწილეობდა. ნუთუ ყოფილ საბჭოთა თხუთმეტ რესპუბლიკას შორის მართლაც ყველაზე შემოქმედებითი, ნიჭიერები ვართ? შეიძლება, მაგრამ ამის პარალელურად მგონია, რომ რუსებს ქართული კულტურისადმი რაღაც განსაკუთრებული ლტოლვა, სიყვარული და ახლა მონატრების გრძნობაც აქვთ. ყველამ კარგად ვიცით მოსკოვის ტრადიციულ თეატრებში, ყველაზე დიდ საკონცერტო დარბაზებში რობერტ სტურუას ნებისმიერ წარმოდგენას, რუსთაველის თეატრის დასს, ნანი ბრეგვაძეს, ბუბა კიკაბიძეს, ნინო ანანიაშვილს, სოფიკო ჭიაურელს, კახი კავსაძეს (რომელი ერთი ჩამოვთვალო?), სუხიშვილებს, გაბრიაძის თეატრს როგორ ხვდებიან, როგორი ანშლაგები და აპლოდისმენტებია. ქართული კულტურისადმი რუსები გულგრილები არასდროს ყოფილან, დღეს კი, როდესაც ამას წარსულის ნოსტალგიაც დაემატა, განსაკუთრებულ ემოციებს გამოხატავენ. მაშ, არ ჯობია, რომ ამით ვისარგებლოთ?! კულტურის სამინისტრომ, კერძო სპონსორებმა ჩვენი დასების, მსახიობების, მომღერლების გასტროლები უფრო ხშირად მოაწყონ. ჩვენ ორ ქვეყანას შორის დღეს არსებული ყინული ხელოვნებით გაადნონ და ტურნეები არა რთულ პოლიტიკურ ფონზე, არამედ პოლიტიკური მოლაპარაკებები ხელსაყრელ, თბილ კულტურულ ფონზე აწარმოონ. ეს ხომ, ისევ და ისევ, ჩვენი ქვეყნისთვის იქნება მომგებიანი. რაც უფრო ხშირად ათასობით, ათიათასობით რუსს "თბილისოს" ვამღერებთ, მით უკეთესი არ არის? მით უმეტეს, რომ ასე გულწრფელად უნდათ!





# უსათაურო და უპასუხო

დამთრგუნველ, სრულიად სასოწარკვეთილ, საცოდავ სანახაობას წარმოადგენს საქართველოს მწერალთა კავშირის, მისი წევრების ნაწილის, თავმჯდომარის მიერ მოწყობილი პერმანენტული აქცია-მანიფესტაციები. ნუთუ ქართული მწერლობა მართლაც ასეთ სავალალო მდგომარეობაშია?! ნუთუ ერთი, თუნდაც უნიკალური შენობის შენარჩუნება ამდენ უზნეობად, წყალწაღებულ ტყუილად, დემაგოგიად, საკუთარ თავთან კომპრომისად ღირს?! ნუთუ დღევანდელი ქართული ლიტერატურა რეზო მიშველაძით და ნებისმიერი თავყრილობის გამაუფასურებელი, კარგი ჯაშუშივით შავ სათვალეებში გამოწყობილი გროტესკული შარაძით, შოთა რუსთაველის, ილიას, ვაჟას და აკაკის სახელებით სპეკულაციით, სოროსის საწინააღმდეგო ბნელი და უბადრუკი ტრანსპარანტებით, გიგა ბოკერიას (რა შუაშია?!) ლანძღვით და არც ერთი ბოლო წლებში დაწერილი ნაწარმოებით შემოიფარგლება?! ნუთუ ჩვენი საქმე, უფრო სწორედ კი მათი საქმე, მართლაც ასე საგანგაშოდ არის?! ნუთუ ქართული მწერლობის ერთი კონკრეტული ნაწილი სრულ იმპოტენციას განიცდის და ამისგან კონტროლს კარგავს, მწარდება, ბოროტდება?!

რა ვქნა, რატომღაც არ მგონია, რომ ყველაფერი ასე ცუდად არის.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტზე საქართველოს სახალხო დამცველის სოზარ სუბარის შემხედვარეს გული მეტკინა. სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, თავად ყველას იცავს, ამ დეპუტატებმა კი კინაღამ გაპუტეს და საბრალო ბიჭს ერთი დამცველიც არ გამოუჩნდა. ხოდა, მე გამოვესარჩლები, მართალია არ ვიცი, რამდენად სჭირდება. კამერების წინ დეპუტატებმა პატარა საჩვენებელი შოუ მოაწყვეს. რა ამბავში იყვნენ?! ან რას უყვიროდნენ, ან რას ტუქსავდნენ, თითქოს პედსაბჭოზე იმყოფებოდნენ, ან რას პოზიორობდნენ? ჩვენ გვეპრანჭებოდნენ? ისე, წარმოიდგინეთ, ხათუნა გოგორიშვილი რომ გიყვირებს, როგორია? არ უნდა იყოს დიდად სასიამოვნო. ხოდა, სოზარიც სულ მთლად დაიბნა, ამ დაბნეულობისგან კი ელენე თევდორაძის ისედაც გაუგებარი სომხური ქართულ-რუსული (რა ვეღარ ისწავლა, უნიჭოა თუ რა?) მთლად ვეღარ გაიგო. თანაც გოგორიშვილის ყვირილი, თევდორაძის ესპერანტო კოკა გუნცაძის მონოტონური დუდუნის ფონზე - მერაბიშვილი! ადეიშვილი! ახალაია!.. და თავიდან - მერაბიშვილი! ადეიშვილი!.. მიმდინარეობდა.

მოკლედ, საჩვენებელი შოუ კარგად, შედეგიანად ჩაივლიდა, ამგვარი შოუების ჩვენი დიდი გამოცდილება რომ არა. უკვე დიდი ხანია ვიცით, ვინ, რატომ, რას, სად და როგორ ამბობს.

ჩვენთან ყველაფერი ტალღისებურად კეთდება. ყველას კარგად გვახსოვს პოლიციაში კორუფციასთან, კონტრაბანდასთან, არაკეთილსინდისიერ მოსამართლეებთან, პროკურორებთან, ჩინოვნიკებთან ბრძოლის ტალღები, როდესაც ტელევიზიით ყოველდღე ახალ-ახალ მხილებულ დამნაშავეებს გვაჩვენებდნენ. ძალიან მისასალმებელი და დიდი ხანია ნანატრი იყო ნარკომანიასთან, ნარკომოვაჭრეებთან ბრძოლის ტალღაც და კვლავ ტელეეთერის მეშვეობით ნანახი დიდი ოდენობით ამოღებული "წამალი" (ნეტავი რას უშვებიან, სად მიაქვთ?). ამ ბოლო პერიოდში ქურდულ მენტალიტეტთან, კანონიერ ქურდებთან ბრძოლის, ასევე სრულიად გამართლებული ტალღა აგორდა და მასთან დაკავშირებული ყოველდღიური სიუჟეტებიდან ერთმა კონკრეტულმა ჩემში გაკვირვება გამოიწვია.

რომელიღაცა კანონიერ ქურდს სახლი ჩამოართვეს და როდესაც ამ ფეშენებელურ ვილას აღმასრულებლები მიადგნენ, იქიდან მაღალი სასულიერო პირი გამოვიდა. როგორ დავიჯერო, რომ კანონიერი ქურდი ზერელიგიური პიროვნებაა და სახლი უსასყიდლოდ ეკლესიას გადასცა? თუ კონკრეტულად ეს საეკლესიო პირი მყარი ქურდული გაგებისაა? ფაქტია, რომ ერთი და მეორე ვარიანტიც ძნელად დასაჯერებელი ანომალია იქნება.

# ჩვენც და თბილისიც ცოდოები ვართ

არ ვიცი იგორ გიორგაძე, მისი მამა პანტელეიმონ გიორგაძე, მათი პარტიისა თუ მოძრაობის წევრები როგორ ფიქრობენ, რას ნატრობენ, რაზე ოცნებობენ, მაგრამ მე პირადად მყარად ვარ დარწმუნებული, რომ წლების განმავლობაში ასეთი საძულველი საბჭოთა კავშირი, თავისი "სიდიადის" მიუხედავად, ერთ მშვენიერ დღეს ნამსხვრევებად დაიშალა, ვეღარასდროს აღდგება, მოძმე რესპუბლიკების ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ხალხი კი სხვადასხვა მიმართულებით სიამოვნებით დაიქსაქსნენ და მათ თავს აღარაფერი მოუყრის. ამაში მეც და ჩემს მსგავსად მილიონობით ადამიანია დარწმუნებული და ამისგან არავითარ ტკივილს, ნოსტალგიას, დანაკლისს არ განიცდის. მაგრამ ეტყობა, ყველა ერთნაირად არ ფიქრობს, არ გრძნობს და მოძმე ერებისგან შემდგარი ერთი დიდი, მეგობრული ოჯახი ზოგიერთს, თუნდაც ქვეცნობიერად, მაგრამ მაინც ენატრება. აბა, მეტი რითი შეიძლება აიხსნას თბილისში, აბანოთუბანში "პოსეიდონზე" გაკრული უზარმაზარი პლაკატი, რომელზედაც ვითომდა საქართველოში მცხოვრები ყველა ნაციონალობაა წარმოდგენილი, სინამდვილეში კი პლაკატის გამოსახულება მხოლოდ საბჭოთა წარსულის ძმურ ოჯახს მოგაგონებს. ნაციონალურ ტანსაცმელში ჩაცმული ერთი ქურთი, ერთი ოსი, ერთი ქართველი ჩოხაში, ერთი ებრაელი, გაუგებარი ბავშვები, წარმოუდგენელი უგემოვნობის ფერთა შეხამება, კოსტიუმები და სრულიად არაქართული პეიზაჟი ფონად, რომელიც იმდენად მოგონილი,




არაბუნებრივია, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის ბუნებათა ნაკრებს უფრო წააგავს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის თვალწარმტაც მთებსა და ველებს.

ყველა, ვინც ახალგაზრდობაში, შორეულ წარსულში, მოსკოვის ВДНХ-ზე ერთხელ მაინც არის ნამყოფი, ან ორმოც-ორმოცდაათიანი წლების ფილმები უნახავს, აუცილებლად დამეთანხმება, რომ სისრულისთვის ამ პლაკატს მეღორის როლში მომღერალ-გაღიმებული ლუბოვ ორლოვა ან მუხინას ცნობილი ქანდაკება "მუშა და კოლმეურნე ქალი" აკლია.

ნუთუ ასეთი ძნელია იმის გათვალისწინება, რომ საქართველოს საბჭოური წარსული ჯერ კიდევ ყველას, სამწუხაროდ, მეხსიერებაში გვაქვს და მისი გახსენება აღარ გვინდა. არ ვიცი, კონკრეტულად ვის, მაგრამ ძალიან ვთხოვ, როდესაც რაიმე ახალ პლაკატს ან ბუკლეტს გააკეთებენ, პროფესიონალი მხატვარი გრაფიკოსის მოწვევის გარდა, პირველ რიგში ამ კუთხით მიუდგნენ და მაქსიმალურად ეცადონ, ყოველგვარი საბჭოური იერი თავიდან აიცილონ, თორემ ამით თბილისის ულამაზესი, უძველესი უბანიც მახინჯდება, ჩვენც ნერვები გვეშლება და გინდა არ გინდა, არცთუ ისე შორეული წარსულის სიყალბე, პათოსი გვიდგება თვალწინ. ამისთვის კი ჩვენც და თბილისიც ცოდოები ვართ.

P.S. თუ ეს პლაკატი ჩემში, რომლის ოჯახის არც ერთი თაობა კომუნისტური პარტიის რიგებში არ ყოფილა, ასეთ ასოციაციას იწვევს, წარმოიდგინეთ ყოფილი კომკავშირლების, პარტმუშაკების განცდები!



სტუმრად მაია ჭალაგანიძესთან

# ოლეგ კისელიოვი: საქართველოს წარმატება ჩვენი უსაფრთხოებაც არის

პირველი გვერდიდან

- წელს ზამთარი მძიმე გამოდგა.

**- ამბობენ, რომ ცივმა ზამთარმა კარგი მოსავალი იცის...**

- საერთოდ, კლიმატი ნორმალური გახდა. ზამთარი თავის დროზე უნდა დაიწყოს, მაგალითად, როგორც ბავშვობიდან მახსოვს - ნოემბრიდან.

**- რუსეთში ნათლიღების ყინვები ყოველთვის იყო, არა?**

- დიახ, მაგრამ მთელს ტერიტორიაზე ნამდვილი ზამთარი მხოლოდ დეკემბრიდან იწყებოდა. წელს იანვრის შუა რიცხვებამდე არეული ამინდები იყო. მერე კი უცბად, თითქმის ნახევარ დღეში მოსკოვში ტემპერატურა პლუს ერთიდან მინუს ოცდაორ გრადუსამდე დავარდა, ამას ატანა ხომ უნდა?

**- ეს ცვლილებები, ალბათ, თქვენს პროფესიულ საქმიანობაზეც აისახა. აქ H1N5 ვირუსის საშიშროების გამო ჩამოხვედით. რა წარმოშობისა და გეოგრაფიის არის ეს ვირუსი?**

- თბილმა შემოდგომამ მთელს ციმბირში ვირუსის გავრცელება გამოიწვია, რის გამოც გასულ წელს სერიულ ბუნებრივ მოვლენასთან გვქონდა საქმე. შევეჯახეთ ცნებას "კატასტროფა". ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანესთან მცხოვრები გადამფრენი ფრინველები იქ ზაფხულს ატარებენ, ბარტყებს ზრდიან, სარგებლობენ ამ რეგიონის განუსაზღვრელი საკვები რესურსებით. აქედან ეს ფრინველები ნოვოსიბირსკის ყინულოვან ტბებზე გადაფრინდნენ და სწორედ ამ ტბების გავლით დაიწყო ვირუსის გავრცელების გზები. ამ გზებზე ერთმანეთს შეხვდნენ გარეული გადამფრენი ფრინველები, შინაური იხვები, ბატები და ქათმები. გარეულ ფრინველს ამ ინფექციის რეზერვუარი შეიძლება ვუწოდოთ. კონტაქტმა შინაური ფრინველის განწყვეტა გამოიწვია და საშინელი სურათის მოწმე გავხდით. გრიპით დაავადების შემთხვევაში წიწილა მხოლოდ ერთი დღე-ღამე ცოცხლობს, მერე ჰაერის უკმარისობით იღუპება, უსისხლიანდება ბრჭყალები და ბიბილოები. ამის მნახველი ადგილობრივი მოსახლეობა, რა თქმა უნდა, დაიბნა და პანიკაში ჩავარდა. მედიკოსებს შეეშინდათ, ეს დაავადება ხალხზე არ გადასულიყო, რაც დამახასიათებელია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისთვის. საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა. ახლა სიტუაცია ამგვარია - გადამფრენმა ფრინველებმა მიაღწიეს ევროპას, გაჩერდნენ თურქეთში და რაც სამწუხაროა, ვირუსი ძალიან სწრაფად გავრცელდა ამ ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. რაც კიდევ უფრო სამწუხაროა - ციმბირისგან და მთლიანად რუსეთისგან განხვავებით, ძირითადად ბავშვებსა და სოფლის მოსახლეობას შორის მსხვერპლი იყო.

**- შეიძლება ითქვას, რომ ეს ქალაქის დაავადება არ არის?**

- რადგანაც ვირუსით დაავადების მიზეზი ფრინველთან კონტაქტია, ეს შეიძლება იყოს სოფლის დაავადება. თუმცა, ეს დაავადება ქალაქებზეც გავრცელდა. განსაკუთრებით სამწუხაროა ის, რომ ძირითადი მსხვერპლი ბავშვები აღმოჩნდნენ და ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ დაავადებას ჰიგიენური პირობების არარსებობა უწყობს ხელს. თუ შინაურ ფრინველს სწორად შეინახავ, დაიცავ ჰიგიენას, დროზე გამოავლენ დაავადებულ ფრინველს, დროზე მიიღებ სანიტარულ, სადეზინფექციო ზომებს, დაავადების გავრცელების საშიშროება დიდი არ უნდა იყოს. თუ დაავადებული ფრინველის აღმოჩენისთანავე სოფელში კარანტინს გამოაცხადებ, დაავადება იქვე რჩება და მთელს ქვეყანაში არ ვრცელდება.

დღეისთვის შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოში ვირუსის გადაადგილების დიდი რისკის ზონა საზღვრები შეიძლება გახდეს. სახელმწიფო ჩინოვნიკების პასუხისმგებლობა საზღვარზე ქცევის უმკაცრესი წესების შემოღება და მათი შესრულების უზრუნველყოფაა. კერძოდ - თურქეთიდან არ უნდა შემოვიდეს ცოცხალი ფრინველი, საზღვრებზე ზუსტად უნდა აკონტროლებდნენ საკვებ და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. უმჯობესია, თუ საერთოდ უარს იტყვით შემოტანაზე.

რუსეთში ასეთ შემთხვევებში მიღებულია საზღვრების ჩაკეტვა.

**- რუსეთი ამ საზღვრების გამო ისე ღელავს, რომ ერთ-ერთმა რუსმა ვეტერინარმა განაცხადა, თითქოს, საქართველოდან ვირუსის შემოსვლის რეალური საშიშროებაა...**

- ეს წარმოუდგენელი სისულელეა. ვირუსი ერთი რომელიმე ქვეყნიდან არ ფეთქდება. ჩემი აზრით, და ამას ამერიკელი სპეციალისტებიც ადასტურებენ, დაავადება იმ გადამფრენი ფრინველებისგან მოდის, რომლებიც ჩრდილოყინულოვან ოკეანესთან ცხოვრობენ. ამ ინფექციის გადაცემა კი გადაფრენის მარშრუტებზე ხდება.

საქართველო ვირუსის გავრცელებისთვის არ გამოდგება, რადგან აქ მთიანი რეგიონია, ცოტაა დახურული წყალსატევები, გაქვთ მჩქეფარე მდინარეები. არც შავი ზღვის სანაპიროა გავრცელების ზონა, რადგან მარილიან წყალზე გარეული ფრინველი დიდხანს ვერ ჩერდება. მათ არ უყვართ სანაპიროები, ისინი იქ მხოლოდ ნახევარ დღეს თუ ჩერდებიან დასასვენებლად. მათ უყვართ ტბები და დაგუბებული წყლები. უკრაინაში სევაშის ტბაზე გაჩნდა პრობლემები და არა შავი ზღვის სანაპიროზე, არა? ტბასთან არის საკვები, თევზი და სასმელი წყალი. ეს უკანასკნელი კი დასნებოვნების წყაროა. კატეგორიულად არ შეიძლება იმის თქმა, რომ გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველო ინფიცირების საშიშროებას წარმოადგენს. მაგრამ ის, რაც თურქეთში ხდება, საქართველოსთვისაც საშიშია, თუკი არ იქნება დაცული სანიტარული ნორმები.

**- რა ასაკის არის ეს ვირუსი?**

- რეზერვუარები მილიონი წლის არის. პირველი პანდემიები მცხრამეტე საუკუნეში გვხვდება - 1896 წელს. უმძიმესი პანდემია იყო 1918 წელს - H1N1, რომელსაც "ისპანკა" ერქვა. H5N1 ვირუსით საბჭოთა კავშირი არ ავადმყოფობდა, როცა ერთად ვიყავით, ამით არ ავვადდებოდით...

**- გინდათ თქვათ, რომ ეს დსთ-ს დაავადებაა?**

- ასე გამოდის... ეს ხუმრობით.

**- ეს დაავადება დიქტატურასავით ხომ არ არის, რომელიც ძირითადად ღარიბი ქვეყნების ხვედრია?**

- ასე არ ვიტყოდი. რა თქმა უნდა, თურქეთის ღარიბ რაიონებში მეფრინველეობა თანამედროვე მოთხოვნებით და კონტროლით რომ ვითარდებოდეს, ასე არ მოხდებოდა.

**- ეპიდემიასთან ბრძოლის იაფი საშუალებები კი არ არსებობს...**

- რატომაც არა. ვირუსის შესახებ ყველა ქვეყანა სამი თვით ადრე იყო გაფრთხილებული. ამას, უბრალოდ, კონტროლი და ყურადღება უნდა. როცა გლეხი ტბასთან დახოცილ ფრინველს იპოვის, მაშინვე და ყოველდღიურად უნდა დაათვალიეროს საკუთარი ფრინველი, უნდა ჩაკეტოს საქათმეში, დაალაგოს საქათმე, არ გაუშვას ფრინველი ტბასთან და გააკეთოს მარტივი დეზინფექცია. ეს იმ ხალხმა ალბათ არ გააკეთა და მხოლოდ მას შემდეგ დაპანიკდნენ, როცა საკუთარი ქათმები დაეხოცათ.

**- რა არის მთავარი პანდემიასთან ბრძოლაში - ფული, ორგანიზაცია თუ კიდევ სხვა რამ?**

- მთავარი პირველი შემთხვევის გამოვლენა და კარანტინია. ყველაზე ეფექტური იზოლაციაა. მეორე - ფრინველისა და ადამიანების ვაქცინაცია. ცივილიზებულ ქვეყნებში, რა თქმა უნდა, არსებობს პრეპარატები, რომლითაც დროულად შეიძლება მკურნალობის დაწყება.

**- რთულია, გავერკვეთ ვირუსის ტიპში, რადგან თითქმის ყველას ერთი და იგივე სიმპტომები ახასიათებს.**

- დიახ, მაგრამ ახლა ხომ ვიცით, რომ საშიშროება არსებობს? თუ ბავშვი დაავადდა, მძაფრი სიმპტომების გამოვლენამდე უნდა დავუწყოთ მკურნალობა.

**- როგორც ცნობილი გახდა, თქვენს ვაქცინაზე ქართველმა კოლეგებმა უარი გითხრეს. რითი იყო ახსნილი ეს უარი და თავად როგორ აღიქვით იგი?**

- სინამდვილეში, ეს არ ყოფილა უარი. ჯანდაცვის კომპეტენტურ წარმომადგენლებს შევხვდი, ვისაუბრეთ, როგორ ვებრძვით დაავადებას აქ და რუსეთში, მედიას შევატყობინეთ ერთობლივი თანამშრომლობისთვის მზაობის შესახებ. ქართველი სპეციალისტები პეტერბურგში ვაქცინის გამოცდის აკრედიტაციისთვის მივიწვიე. ეს ჩვეულებრივი მეზობლური კეთილგანწყობაა. მიწვეულნი იქნებიან აგრეთვე უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი სპეციალისტებიც. რუსეთი დაინტერესებულია ამ ქვეყნების სპეციალისტებთან კარგი ურთიერთობებით. ეს მეზობელი სასაზღვრო ქვეყნებია - ჩამოვლენ და თავად გადაწყვეტენ, დანერგონ თუ არა ვაქცინა საკუთარ ქვეყნებში.

საქართველოსთან ცოტათი სხვა პრობლემა დგას - თქვენი ხელისუფლება უმთავრესად ამერიკულ და იმ პრეპარატებზეა ორიენტირებული, რომელიც დაშვებულია აშშ-ს ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, პრეპარატების თვალსაზრისით თანამშრომლობა გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

**- როგორ ფიქრობთ, ეს არის ჯანსაღი კონკურენცია რუსულ და ამერიკულ პრეპარატებს შორის, თუ ეს არის პოლიტიკა?**

- რა თქმა უნდა, პოლიტიკური ასპექტი ყველაფერშია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არასწორია და აი, რატომ: საქართველო მრავალი წელია, რუსეთთან თანამშრომლობდა დეზინფექციის სხვადასხვა საშუალების შექმნაში. გარდა ამისა, საქართველოს გააჩნია საკუთარი მეცნიერება, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია. თქვენ ყოველთვის გამოირჩეოდით სერიოზული და ძლიერი კვლევებით მიკრობიოლოგიაში, ფიზოლოგიაში. ახლა ეს თანამშრომლობა შესუსტდა, მაგრამ რადგანაც ქართველებს მეგობრობა ეხერხებათ, ეს კავშირები პირადი ურთიერთობების დონეზე დაგვრჩა. მეცნიერებს ახლაც შეუძლიათ კვლევების გაგრძელება.

მესამე - რუსეთს და ყოფილ საბჭოთა კავშირს ჰქონდა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის ყველაზე ძლიერი ტრადიციები და გამოცდილება. უკაცრავად, მაგრამ რუსეთი კვლავაც რჩება ანტიგრიპოზული ვაქცინების უმსხვილეს მწარმოებლად მსოფლიოში. და რაც უნდა გასაკვირი იყოს, მომხმარებელიც. 90-იანი წლების შუაშიც კი, როდესაც არც ჩვენთან და არც თქვენთან პოლიტიკის მეტი არაფერი ხდებოდა და არც გრიპი და არც სხვა რამ არავის აინტერესებდა, ჩვენი ინსტიტუტი იმისთვის იბრძოდა, რომ არ შეჩერებულიყო ანტიგრიპოზული ვაქცინების წარმოება. ჩვენ შევინარჩუნეთ ყველაფერი და რუსეთს დღეს ვაქცინის 100 მილიონი დოზა შეუძლია აწარმოოს. ამიტომაც რუსეთი ძალზე მნიშვნელოვანი მეზობელი პარტნიორია ამ საქმეში და საქართველოს მთავრობაც ამ ფაქტს სერიოზულად უნდა მიუდგეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ რუსეთთან თანამშრომლობით საქართველოს შეუძლია, გახდეს რეგიონში ვაქცინების მწარმოებელი ქვეყანა. ჩვენ ვმუშაობთ აქ არსებულ ფარმაცევტულ კომპანია "ბიოფარმთან". მათ ადგილობრივი წარმოების 65 პრეპარატი აქვთ, რომელსაც რუსეთშიც ყიდიან და მათ შორის, საკმაოდ მაღალი დონისაც.

გაგრძელება B4 გვერდზე



**აკადემიკოსი ოლეგ კისელიოვი:**

**რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის გრიპის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ნაციონალური ცენტრის დირექტორი. დაამთავრა პეტერბურგის სამედიცინო ინსტიტუტი; 16 წლის მანძილზე მუშაობდა ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში აკადემიკოს დეხტიარევას ხელმძღვანელობით. შემდეგ მიკრობიოლოგიურ წარმოებას მისცა თავი. 1988 წლიდნ კი ზემოხსენებული ინსტიტუტის დირექტორია.**

საქართველო ვირუსის გავრცელებისთვის არ გამოდგება, რადგან აქ მთიანი რეგიონია, ცოტაა დახურული წყალსატევები, გაქვთ მჩქეფარე მდინარეები. არც შავი ზღვის სანაპიროა გავრცელების ზონა, რადგან მარილიან წყალზე გარეული ფრინველი დიდხანს ვერ ჩერდება... საქართველოში ვირუსის გადაადგილების დიდი რისკის ზონა საზღვრები შეიძლება გახდეს.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ტენდერს საწვავის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| | მომსახურების დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი N 1 | ბენზინი - სუპერ (Ron 98) | ტონა | 189 |
| | ბენზინი - რეგულარი (FRon -92) | ტონა | 31 |
| ლოტი N 2 | ევრო დიზელი | ტონა | 50 |
| | დიზელი - LL - 62 | ტონა | 4 300 |

მიწოდების ადგილი - მხარეთა შეთანხმებით.

3. მიწოდების სასურველი ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 13 და 14 თებერვალს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის :

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით 1% -იანი საბანკო გარანტია

ფიზიკური პირებისათვის :

ა) ცნობა შესაბამისი ორგანობან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით 1% -იანი საბანკო გარანტია

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქარტველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51, 893-24-32-24

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. რუსთავის სკოლიოზით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-პანსიონი აცხადებს ღია ტენდერს 2006 წლისათვის, აღსაზრდელებისათვის კვების პროდუქტების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. პროდუქტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ წარდგენილი განცხადებიდან ერთი კვირის განმავლობაში მისამართზე: ქ. რუსთავი კიკვიძის ქუჩა № 14.

3. მოწოდებული პროდუქტი უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 11 თებერვლიდან 12 თებერვლის 16 საათამდე მისამართზე: ქ. რუსთავი, კიკვიძის ქუჩა № 14.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს დადგენილი ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2006 წლის 8 თებერვლიდან 12 თებერვლამდე მისამართზე: ქ. რუსთავი კიკვიძის ქუჩა № 14.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნოდარ ვარდოსანიძე, მისამართზე: ქ. რუსთავი კიკვიძის ქუჩა № 14. ტელ: 15-06-26.

*ნოდარ ვარდოსანიძე*
*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე*

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს სატელევიზიო საბავშვო პროგრამების სცენარისა და ტელეგმირების მომსახურების შესყიდვაზე ორეტაპიან ინტელექტუალურ ტენდერს

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68

**გადაცემების მიზანი უნდა იყოს განავითაროს მისწრაფება განათლებისაკენ, ჯანმრთელი ცხოვრების წესისაკენ და ბუნების დაცვისაკენ.**

**გადაცემების სამიზნე ჯგუფია 6-12 წლის ბავშვები**

**ტექნიკურ მომსახურებას (სტუდია და ტექნიკური პერსონალი) უზრუნველყოფს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი".**

**პირველი სატენდერო ეტაპი:**

**ლოტი1. დილის პროგრამაში საბავშვო რუბრიკის სცენარსა და ტელეგმირებზე (პროექტისათვის საჭირო შემოქმედებითი ჯგუფის მომსახურება). ქრონომეტრაჟი 10 წუთი, კვირაში ხუთჯერ.**

**ლოტი 2. საბავშვო-შემეცნებით-გასართობი პროგრამის სცენარსა და ტელეგმირებზე (პროექტისათვის საჭირო შემოქმედებითი ჯგუფის მომსახურება).**

**(შაბათ-კვირას. ქრონომეტრაჟი 20 წუთი)**

**ორივე ლოტზე უნდა იყოს წარმოდგენილი ტელეგმირების ვიზუალური ესკიზები.**

**მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულებების გარეშე.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას**

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას საქართველოს რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
- ცნობას რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული შესაბამისი რაიონის საგადასახადო ორგანოს მიერ ან არასაწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, გაცემული იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციის სამმართველოს მიერ);
- ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება,
- ცნობას საგადასახადოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ინფორმაციას გამოცდილებისა და განხორციელებული პროექტების შესახებ;
- პროექტში მონაწილე ფიზიკურ პირთა ბიოგრაფიულ მონაცემებს;

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადადებები ორიგინალის სახით დალუქულ კონვერტში უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე 2006წ. 13 თებერვლის 11 საათიდან 15 თებერვლის 12 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (200ლ.) გადახდის შემდეგ, ვადები ეცნობებათ დამატებით. შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი. კოსტავას ქ. N68, ოთახი N 341 - სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"

**სატენდერო მოსაკრებელი 200.0 ლარის ოდენობით უნდა გადაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე:**

**მიმღების დასახელება: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585)**
**მიმღების ანგარიში: 000141408**
**მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი**
**მიმღების ბანკის კოდი: 220101107**
**გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი**

**მეორე სატენდერო ეტაპისათვის:**

პრეტენდენტები წარმოადგენენ:

**1) ხარჯთაღრიცხვას.**
**2) ტელეგმირები დამზადებული სახით.**

წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ნათია ზამთარაძე ტელ: 33-23-64

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. GFA Terra Systems-ის წარმომადგენლობის კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი აცხადებს ტენდერს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვისა და ინსტალაციისათვის და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

| N | საქონლის დასახელება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | Plotter HP, Size 42", Color, JetDirect | 1 | თბილისი, ბულაჩაურის 10/27 კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის ოფისი |
| 2 | Printer HP, Black & White, Size A4, Duplex, JetDirect | 1 | |
| 3 | Storage Computer Cpu 3.0 GHz, Ram 1024 MB, HDD SCSI Min 1024 GB, Vga 64 MB | 1 | |
| 4 | Workstation Computer Cpu 3.0 GHz, Ram 1024 MB, HDD 120 GB, Vga 256 MB, DVD RW | 4 | |
| 5 | Monitor HP CRT , Size 17" | 1 | |
| 6 | Monitor HP CRT , Size 19" | 4 | |
| 7 | Ups APS 1000 VA | 1 | |
| 8 | Ups APS 650 VA | 4 | |
| 9 | Network HUB-Switch, Cables, Connectors, Including Installation | 5 წერტილი | |

2. კომპიუტერული ტექნიკის მიწოდების და ინსტალაციის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 17 აპრილამდე.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 13 თებერვლიდან 14 თებერვლის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი, 4-ე სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი);

ზ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ი) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 13 თებერვლამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადსტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი, 4-ე სართული.

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:

მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 14 თებერვალს 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

ვოვა ჩხაიძე, ანი მინდორაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი: 25 15 28
ფაქსი: 25 15 27
მისამართი: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი.

**კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს საწვავი მასალების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდია 249690 (ორას ორმოცდაცხრა ათას ექვას ოთხმოცდაათი) ლიტრი საწვავი.

მათ შორის: - ბენზინი ა-91 - 137690 ლიტრი.

- დიზელი ლ-40 - 112000 ლიტრი.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის იანვრამდე. ტენედრში გამარჯვებულის მიერ საწვავი მასალის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე, საბარათო სისტემის გამოყენებით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურებიდან.

3. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 31 იანვრის 10 საათიდან 10 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი საბურთალოს ქუჩა № 28, ქალაქ თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური.

სატენდერო მოსაკრებელი უნდა ჩაირიცხოს:

მიმღები - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ანგ. № 200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 22010107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი - 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი - 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი - 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი - 300044040; ისანი-სამგორის რაიონი - 300054040. დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

4. პრეტენდენტებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები ერთ დახურულ კონვერტში ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 13 თებერვლის 17 საათამდე.

5. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

5.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაცია ქალაქის მასშტაბით ავტოგასამართი სადგურების ადგილმდებარეობის შესახებ;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.

6. საკვალიფიკაციო და სატენდერო წინადადებების შეფასება განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ მაისურაძე, სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელ: 386250, გულნაზი გაბედავა, სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელ: 386317. მისამართი: თბილისი საბურთალოს ქუჩა № 28, ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ წყალტუბოს გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ქალაქის სანიტარული დასუფთავებისა და მოსახლეობიდან მყარი საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და ნაგავსაყრელამდე მიტანის მომსახურების შესყიდვის მიზნით.

შესყიდვის ობიექტი:

- მუნიციპალური მყარი და დიდი ზომის ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირება;

- ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და მონახვეტი ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირება.

მომსახურების ვადა განისაზღვრება ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ იურიდიულ პირსა და ქ. წყალტუბოს გამგეობას შორის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირებისათვის:

- პრეტენდენტი იურიდიული პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

- პრეტენდენტი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

ფიზიკურ პირთათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

- ინფორმაციას პრეტენდენტის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი) სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის მიერ ქალაქ წყალტუბოს დასუფთავებისა და მყარი ნარჩენების მართვის, მომსახურების დონის ამაღლებისათვის გამოყენებული მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ, აგრეთვე აღნიშნული მიზნების მისაღწევად გამოყენებული მეთოდოლოგიის დეტალურ აღწერას.

სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემოთავაზებული პროცედურების, მეთოდოლოგიისა და მექანიზმების ეფექტურობა. სატენდერო წინადადების ღირებულება, რომელიც წარმოდგენილი იქნება საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, დახურული კონვერტით.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილე მსურველის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის (ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში (წყალტუბო) სახაზინო კოდი: 300254040; საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი: 220101107, ანგ. № 520101107; დანიშნულება ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ აღნიშნული განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 14 თებერვლის 13 საათამდე მისამართზე: საქართველო, ქ. წყალტუბო, 5400, რუსთაველის ქუჩა № 25, II სართული, ქალაქ წყალტუბოს გამგეობა.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დაგვიანებით შემოსულ განაცხადს, საკვალიფიკაციო მონაცემებსა და სატენდერო წინადადებას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაციის მიღებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი წყალტუბო რუსთაველის ქუჩა № 25, II სართული, ქალაქ წყალტუბოს გამგეობა. ტელ: (8240) 21622; მობ. 899 567650 ლევან ლექვინაძე, ქეთევან კირტავა.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქწყალკანალი" (მის. ქ. თბილისი 0105 მაჩაბლის ქ. №2) "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს გარდაბნის რეგიონული კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების კომპლექსზე სამსახურის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სამშენებლო ტექნიკის საწვავით უზრუნველსაყოფად ტალონური სისტემით მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - შპს "საქწყალკანალის" საკუთარი სახსრები.

2. შესყიდვის ობიექტი - საწვავი.

ლოტი პირველი - ბენზინი პრემიუმი 48 000 ლიტრი.

ლოტი მეორე - დიზელ-საწვავი 30 000 ლიტრი.

3. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 იანვრიდან 8 თებერვლის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მაჩაბლის ქ. №2 მე-3 სართული, შპს "საქწყალკანალი" (სატენდერო კომისია).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ სასამართლოს დადგენილება;

გ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობაზე;

დ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2. ფიზიკური პირისათვის

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე - სასამართლო ორგანოებიდან;

ბ) საგადასახადო დავალიანებები საქართველოს ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტი).

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 10 (ასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ შეეძლებათ 7 თებერვლის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105 ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №2 შპს "საქწყალკანალი", სატენდერო კომისია.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სერგო ჯოლოგუა (93-49-53), ნათელა იორდანიშვილი (99-07-59) მისამართზე: ქ. თბილისი, მაჩაბლის № 2.

# განცხადება
# ღია ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქწყალკანალი" (მის. თბილისი 0105 მაჩაბლის ქ. №2) "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად შპს "საქწყალკანალის" გარდაბნის რეგიონული კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების კომპლექსზე სამშენებლო-სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების შესყიდვაზე შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტი პირველი:

გარდაბნის რეგიონული კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების კომპლექსზე №8 და №9 სალამე მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

ლოტი მეორე:

გარდაბნის რეგიონული გამწმენდი ნაგებობების კომპლექსის ტექნოლოგიური დანადგარების და გარე ქსელების სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

2. დაფინანსების წყარო შპს "საქწყალკანალის" სახსრები.

3. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 იანვრიდან 8 თებერვლის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №2 მე-3 სართული, შპს "საქწყალკანალი" ( სატენდერო კომისია).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ სასამართლოს დადგენილება;

გ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობაზე;

დ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2. ფიზიკური პირისათვის

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე - სასამართლო ორგანოებიდან;

ბ) საგადასახადო დავალიანებები საქართველოს ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტი);

გ) ცნობას არანაკლებ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების მოცულობის შესახებ;

მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს დამკვეთი იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიერ;

დ) ანალოგიური სამუშაოების ჩატარების გამოცდილება არანაკლებ 3 (სამი) წლის.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

8. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 100 (ასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ შეეძლებათ 7 თებერვლის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105 ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №2 შპს "საქწყალკანალი", სატენდერო კომისია.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სერგო ჯოლოგუა (93-49-53), ნათელა იორდანიშვილი (99-07-59) მისამართზე: ქ. თბილისი, მაჩაბლის № 2.

# ოლეგ კისელიოვი:
# საქართველოს წარმატება ჩვენი უსაფრთხოებაც არის

B1 გვერდიდან

რუსეთში მცხოვრები ჩემი ქართველი კოლეგები და მეგობრები მზად არიან, ერთობლივი წარმოებისთვის საქართველოს შესთავაზონ ინტერფერონის მთელი გამა. ეს უმაღლესი, გენოინჟინერული პრეპარატია, რომელიც ძალიან ეფექტურია ფრინველის გრიპთან საბრძოლველად.

**- ვირუსის ეკონომიკასაც მივადექით...**

- ვერც რუსეთისა და ვერც საქართველოს ჯანდაცვა ვერ შეწვდება პრეპარატის ამერიკულ ფასებს. ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის დაცლა თუ გვინდა, მაშინ ყველაფერი აშშ-ში უნდა ვიყიდოთ და ჩვენი რესურსით საჭირო რაოდენობის მხოლოდ 10 პროცენტს თუ ვიყიდით. ამიტომაც თქვენ ეკონომიკურ პირობებზეც უნდა იყოთ ორიენტირებულნი. რუსეთის პრეპარატები ამერიკულზე 10-ჯერ იაფია.

რა თქმა უნდა, ამ ძვირი პრეპარატების მცირე რეზერვი უნდა არსებობდეს და ფული ამაზეც უნდა დაიხარჯოს, მაგრამ მოსახლეობას ეს არ ეყოფა. მოსახლეობა საიმედო და იაფი პრეპარატით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

**- თანდათან საშიში დაავადების წინააღმდეგ ამ საყოველთაო ბრძოლის ფინანსებისთვის ბრძოლად გადაქცევის საშიშროება იკვეთება...**

- რა თქმა უნდა, ბიზნესი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. მაგრამ სამედიცინო საზოგადოება პირველ რიგში ჯანმრთელობაზე უნდა ფიქრობდეს. ჩვენი ამოცანა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი პრეპარატის მიწოდებაა, რომლის ყიდვა, ან უფასოდ მიღება პენსიონერსაც უნდა შეეძლოს.

**- როგორ უნდა დაიცვას თავი პატარა ქვეყანამ, რათა დიდ ფინანსებს და კომერციულ ინტერესებს შორის გამართული ბრძოლის ეპიცენტრში არ აღმოჩნდეს?**

- სიტუაციის კონტროლი, აწონილი ნაბიჯები, გამჭვირვალე, კოლექტიური გადაწყვეტილებები - ეს არის დაცვის საშუალება.

პრეზიდენტმა ბუშმა თავის ხალხს მიმართა. როგორც ვიცი, აქ უყვართ ბუში. მან საკმაოდ კომპეტენტური განცხადება გააკეთა, თავის ხალხს მიმართა და უთხრა, რომ მათ შეუძლიათ დაეხმარონ არამხოლოდ საკუთარ თავს, არმედ ქვეყანასაც იმ შემთხვევაში, თუ ყურადღებით მოეკიდებიან საკუთარ ჯანმრთელობას და თავის დროზე მიმართავენ ექიმს.

ბევრი რამ არის დამოკიდებული თითოეული ამერიკელისგან, რუსისგან, ქართველისგან. ამიტომაც განუზომელია ამ საქმეში მედიის როლი. ამ საქმეში უპასუხისმგებლობა არის დანაშაული თითოეული ადამიანისა და მთელი ქვეყნის წინაშე.

**- რუსულ სოფლებშიც და ქართულშიც ხალხი ღარიბია. ახლა ალბათ გამოჩნდებიან შარლატანები, რომლებიც გრიპის საწინააღმდეგო იაფ ხალხურ საშუალებებს შემოგვთავაზებენ. ცხადია, ხალხი ამას აიტაცებს. რა როლი შეიძლება ითამაშოს ამ საქმეში სახელმწიფომ?**

- უნდა არსებობდეს მოსახლეობამდე მისული ყოველი წამლის ზუსტი ექსპერტიზა. სახელმწიფოს როლი მართლაც უმნიშვნელოვანესია. უნდა შეიქმნას დოკუმენტი იმის შესახებ, რომელი წამალი გამოდგება და რომელი - არა. გარდა ამისა, ეს წამლები ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მაგრამ, ყველაზე ეფექტური მაინც ვაქცინაციაა. საერთოდ ვაქცინის კამპანიურობა ძალიან ამშვიდებს მოსახლეობას. ამას რეალურად ძლიერი დაცვითი ეფექტიც აქვს და ადამიანებიც დაცულად გრძნობენ თავს.

**ვერც რუსეთისა და ვერც საქართველოს ჯანდაცვა ვერ შეწვდება პრეპარატის ამერიკულ ფასებს. ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის დაცლა თუ გვინდა, მაშინ ყველაფერი აშშ-ში უნდა ვიყიდოთ და ჩვენი რესურსით საჭირო რაოდენობის მხოლოდ 10 პროცენტს თუ ვიყიდით.**

**- როგორც ვიცი, აქედან თურქეთში მიემგზავრებით. მიზანი თქვენს მიერ შექმნილი ვაქცინის პრეზენტაციაა?**

- თურქეთში ჯერ ჩვენი სპეციალისტების ჯგუფი ჩავა და ათ დღეში, მეც შევუერთდები. სიტუაციის ინსპექტირების უფლებამოსილება მე არ მაქვს, ეს სუვერენული ქვეყანაა და მხოლოდ კონსულტანტობა შემიძლია. თურქეთში ჩავალ, როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გრიპის ნაციონალური ცენტრის დირექტორი. ჯერ ერთი, თურქეთში უკვე ვირუსია და რეალური სურათის შესწავლაა საჭირო. გარდა ამისა, თურქეთი ყველა ჩვენს ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატს ითხოვს.

**სიტუაციის კონტროლი, აწონილი ნაბიჯები, გამჭვირვალე, კოლექტიური გადაწყვეტილებები - ეს არის დაცვის საშუალება.**

**- როგორ მუშაობთ დასავლელ და ამერიკელ კოლეგებთან?**

- ყველა პროექტი ევროპული თანამეგობრობის ეგიდით მიმდინარეობს. ვაქცინა, რომელზეც დღეს ჩვენ ვმუშაობთ და ვცდით, ინგლისური წარმოშობისაა და ამ ცდების ჩატარების რეკომენდაცია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მოგვცა, რომელიც ყოველკვირეულად არის ინფორმირებული ჩვენი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

**- ტემპები და მეთოდები, რომლითაც საერთაშორისო საზოგადოებამ ვირუსს შეუტია, დამაკმაყოფილებელია იმისთვის, რომ გლობალური კატასტროფა არ მოხდეს?**

- თუ ცივილიზებულად მოვიქცევით, შესაძლოა, ამან კატასტროფული მასშტაბები არ შეიძინოს. ისე კი, 21-ე საუკუნეში გრიპით გამოწვეული ყოველი სიკვდილი, რომლის მიზეზი არაორგანიზებულობა და უპასუხისმგებლობა იქნება - საგანგებო შემთხვევაა.

**- როგორ აფასებთ საქართველოს მთავრობის მუშაობას ამ მხრივ?**

- საქართველოს ხელისუფლება ორიენტირებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებზე, რაც ძალიან კარგია. თქვენთან მუშაობს დაავადების კონტროლის ცენტრები, CBC-ს ფილიალი, რომლის სათავო ოფისი ატლანტაშია. მის ხელმძღვანელს პირადად ვიცნობ და ის სრულად ფლობს ინფორმაციას ამ დარგში. თქვენმა მთავრობამ წამლის რეზერვის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო და ასრულებს კიდეც მას. ვხედავ, რომ ყოველი ნაბიჯი აწონილია და გადაწყვეტილებების მიღებას პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

**ბევრი რამ არის დამოკიდებული თითოეული ამერიკელისგან, რუსისგან, ქართველისგან. ამიტომაც განუზომელია ამ საქმეში მედიის როლი. ამ საქმეში უპასუხისმებლობა არის დანაშაული თითოეული ადამიანისა და მთელი ქვეყნის წინაშე.**

**- ქართველი და რუსი მედიკოსები უკეთ თანამშრომლობენ, ვიდრე პოლიტიკოსები?**

- მედიკოსებს სულ სხვა ამოცანები გვაქვს. თუ ყველა ჯანმრთელი იქნება, ჩვენ...

**- დარჩებით უმუშევარი, არა?**

- მედიკოსებისთვის სამუშაო ყოველთვის გამოიძებნება. ამ საკითხში საქართველოს წარმატება ჩვენი უსაფრთხოებაც არის. ჩვენ, მედიკოსები ვასრულებთ სამუშაოს, რომელიც ორივე ხალხისთვის სასარგებლო და საჭიროა.

**- მედიკოსების თანამშრომლობაზე როგორ აისახება პოლიტიკური რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბული ფონი?**

- არ შეიძლება არსებობდეს რაიმე პოლიტიკური ამბიცია რუსეთის პტრეპარატებთან მიმართებაში. ჩვენს წარსულს ვერსად გავექცევით. აქ ცხოვრობენ ჩვენი რუსი კოლეგები, მეგობრები და რუსეთშიც მოღვაწეობენ ქართველი კოლეგა-მეგობრები. გვიყვარს და ვენდობით ერთმანეთს. აქ პირველად ვარ, მაგრამ მოსკოვსა და პეტერბურგში ბევრი ქართველი მეგობარი მყავს. ზოგიერთი მათგანი მზად არის საქართველოში ამ ვაქცინის შემოსატანად.

**- ვინ არიან ეს ადამიანები?**

- ჩვენ სამმხრივ ხელშეკრულებას დავდებთ ფარმაცევტულ კომპანია "ბიოფარმთან" და "ფარმაკომთან". ძირითადი ინვესტორი ბიზნესმენი გიორგი ჭუმბურიძეა. ამ საქმეში ჩაერთვება პეტერბურგის ქართული სათვისტომოც. იქ ძლიერი ფიგურაა ჩემი ახლობელი, წარსულში ჩემი მოადგილე სოსო კუტალია.

**- ქართველ მასპინძლებთან ერთად, ალბათ, თბილისის რესტორნებსაც ეწვიეთ. ფრინველის ხორცი მიირთვით?**

- მენიუშიც კი არ იყო. ქართული სამზეულო კარგად ვიცი. თქვენი ცნობილი "საცივის" მენიუდან ამოღება სისულელეა. საზღვრების კონტროლი და ვეტერინარული ინსპექცია თუ კარგად მუშაობს, საქართველოში დღეს ყველაფრის ჭამა შეიძლება.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge








## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## ყურადღება!

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207


კომიქსი

